# საერთო გაზეთი

№3 (414) • 1 თებერვალი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## ვაჟა ბერიძე: ქვეყანა არც მთებია, არც ეკლესია-მონასტრები, არც უნიკალური ფოლკლორი. ქვეყანა, ეს არის ადამიანები, ბატონებო!

საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლისას 5,5 მილიონი, ვიყავით, დღეს 3,7 მილიონი ვართ. აქედან მილიონი ადამიანი რიგში დგას და ვიზა-ლიბერალიზაციას ელოდება, რომ მერე, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში დარჩეს. აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ!






## ჯონის და ჯორჯის „გენმოდიფიცირებული" ნაბიჭვრები და ერთის ნაცვლად ოთხი „ნაცმოძრაობა"



ჩნდება კითხვა - რატომ დაიშალნენ ნაცები და რატომ აცხადებს „დაშლილების" ყველა ფრთა, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის დასამარცხებლად იბრძოლებენ.

## რატომ არის ნინო ბურჯანაძე „ყველაზე ჭკვიანი" პოლიტიკოსი, რომელმაც ხელისუფლებაში ორჯერ მოიყვანა „ბრიყვი" სააკაშვილი?!



როგორც თვითონ აღიარებს, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის გადაწყვეტილება სააკაშვილთან და მერაბიშვილთან ერთად, სწორედ „დიდმა პოლიტიკოსმა" ნინო ბურჯანაძემ მიიღო!

2008 წლის აგვისტო. ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილს: „ოღონდ მითხარი, როგორ მოვკვდე – დროშით თუ ავტომატით ხელში"...

## რატომ იქცა საავადმყოფოები დახურული ტიპის დაწესებულებებად?!

## რა დასკვნას დადებს გამოძიება „ბავშვთა სამყაროს" დაწვასთან დაკავშირებით?

## თამარ დადიანი: 2 თებერვლის მოვლენებიდან 25 წელი გავიდა,მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის, როგორ ეგდო ქუჩაში ყელგამოჭრილი ქალი...



## ვინ ჩამოსვამს მკვლელებს მანქანებიდან?



მომრავლებული ავტოავარიების მიზეზი სრული უკონტროლობაა - შეიძლება მთელი დღე-ღამე ქუჩაში დაქროდეს განგრეულ კაიფში მყოფი, ან მთვრალი მძღოლი და არავინ გააჩეროს!

# ქვეყანა არც მთებია, არც მდინარეები, არც სათაყვანებელი ეკლესია-მონასტრები, არც უნიკალური ფოლკლორი. ქვეყანა, ეს არის ადამიანები, ბატონებო!



***გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:***

**— ბატონო ვაჟა, მსოფლიოსთვის ახალი ეტაპი, ახალი გადალაგებები იწყება. რა კომენტარს გააკეთებთ ამ პროცესების შესახებ?**

— საოცარი რამ მოხდა. ფაქტობრივად, მოვლენები რომელიც აშშ-ში და მთელს მსოფლიოში განვითარდა, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს რევოლუცია იყო. ვიმედოვნებ, ეს რევოლუცია უსისხლო, მშვიდობიანი იქნება. ამ შემთხვევში ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს ვინ ლიბერალ-დემოკრატიის მეხოტბეა, ვინ კონსერვატორი და ვინ რეალისტი. მთავარი შემდეგია — აშშ-ში ხალხს თურმე, ჰქონია შანსი ზეგავლენა მოახდინოს ელიტის განწყობაზე, პოლიტიკაზე, მიდგომებზე და ცუდად დალაგებისკენ მიმავალი მსოფლიო უფსკრულისგან, გადაჩეხვისგან იხსნას, რაც მთელი პლანეტის განვითარებისთვის ჩიხი იქნება. მოხარული ვარ იმის რაც მოხდა, რადგან რაც არ უნდა მოუვიდეს ტრამპს — დარჩება იგი ეს ოთხი წელი ხელისუფლებაში თუ ის გავლენიანი ძალები, რომლებიც არ ეპუებიან, რომელთაც ხალხი ქუჩებში გამოჰყავთ, საპროტესტო აქციებს აწყობენ, ტრამპის ძალაუფლებიდან ჩამოცილებას მოახერხებენ, ამიერიდან მსოფლიო ისეთი აღარასოდეს იქნება, როგორიც საბჭოთა კავშირის დაშლა-დაცემის შემდგომ პერიოდში იყო. ახალი მსოფლიო წესრიგი, გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად, არცთუ მთლად ეფექტური აღმოჩნდა. მსოფლიო რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში ერთი ცენტრის, პოლუსისი მიერ იმართებოდა, ბევრ ჩიხში შევიდა და ფაქტობრივად, მთელს მსოფლიოში მოვლენათა განვითარებაზე პასუხისმგებელი აშშ პრობლემების მოსაგვარებლად უძლური აღმოჩნდა. აქ, საუბარია გლობალურ გამოწვევებზე, რეგიონულ კონფლიქტებზე, გლობალურ-ეკონომიკურ კრიზისზე. რეცესია შეჩერდა, მაგრამ აღმავლობა იმ მოცულობის არ არის, რაც მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისთვის სასურველია. როდესაც საზღვრები წაიშალა, აშშ-ს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკა გახდა. აქცენტები ისე გადანაწილდა, რომ ტრამპი თავისი ხედვიდან გამომდინარე ცდილობს ვექტორი უკან შემოაბრუნოს. რა თქმა უნდა, დემოკრატიული განვითარების არათანაბრობა კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას ქმნის. მაგალითად, ჩინეთი, ამ პრობლემას, შობადობის შეზღუდვით ებრძვის. იგი, სხვა გავლენის ბერკეტებსაც გამოიყენებს. კერძოდ, იაფი მუშახელის წყალობით მას ზრდის ბერკეტი კიდევ აქვს.

**— რა ვითარებაა, ეკონომიკური კუთხით, საქართველოში?**

— არჩევნებამდე, საქართველოში, ჩვენი მთავრობის მოწვევით ორი ცნობილი დასავლელი ეკონომისტი ჩამოვიდა. მათი ვიზიტი ისე დამთავრდა, რომ საზოგადოებამ ვერ გაიგო რისთვის ჩამოვიდნენ. არადა, მათ საოცარი რამ თქვეს: ჩვენთან მოწვეული ეკონომისტები განსაკუთრებით მცდარად მიიჩნევენ განვითარებადი ქვეყნებისთვის ინდუსტრიულ განვითარებაზე უარის თქმას, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ტურიზმით და მომსახურების ეკონომიკით ვერც დიდი ქვეყნები — დასავლეთის დემოკრატიის ლიდერები და ვერც განვითარებადი ქვეყნები ფეხს ვერ მოიმაგრებენ. ჩვენი ქვეყნის ლიდერებმა ეს ვერ გაიგეს, რეაგირება არ ყოფილა. აქ, ისევ კეთდება აქცენტი ტურიზმის განვითარებაზე. არადა, ჩვენ გვაქვს დეფოლტის წინაშე მდგომი ტურიზმით გამორჩეული საბერძნეთის მაგალითი, ასევე, ესპანეთის საფრთხე, რომელიც ტურმიზმით ყველაზე მისაღები ქვეყანაა. ჩვენ, მაინც ტურიზმს გავიძახით. ტურიზმი კარგია როგორც ეკონომიკის შენაკადი, თანაც, იმ ქვეყნისთვის რომელსაც აქვს საკუთარი წარმოება, რაც კომპლექსში ბევრ სხვა ბენეფიტს ქმნის, მაგრამ ამის გარეშე მხოლოდ ტურიზმისა და მომსახურების ეკონომიკის იმედად ყოფნა ძალიან ძნელია. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიების ბუმის პირობებში, მეცნიერები ჩვენც და დასავლეთსაც რეინდუსტრიალიზაციის გზას გვთავაზობენ. მაშინ როდესაც ყრუ კავკასიაში, საქართველოში ჩამოსულმა ორმა ეკონომისტმა ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ვერაფერი გააგებინეს, ამ დროს ტრამპმა ეს ხედვები თავისი პირველი ნაბიჯების საფუძვლად აიღო. ტრამპის ხედვა ერთი შეხედვით პრიმიტიული პროტექციონიზმია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ამ ეკონომისტების ხედვებს მაგონებს. ამ დროს, ჩვენ, ყურთბალიშზე გვძინავს და ეთნოკონფლიქტებით ალმოდებულ კავკასიაში ისევ პრიმიტიულ ხედვებს მივყვებით ტურიზმის განვითარების კუთხით. ასე თუ ვიაზროვნეთ პრობლემებს ვერასოდეს გადავწყვეტთ და იძულებულები ვიქნებით, ჩრდილოეთისკენ დავიწყოთ ყურება. აი, რაზე უნდა იყოს კონცენტრირებული ჩვენი მედია, არასამთავრობო სექტორი. ეს თანამდროვე ხედვები უნდა გახდეს ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი. ჩვენ უნდა გადავიხედოთ 25 საუკუნით წინ და უკან და ამ სიმაღლიდან შევხედოთ ჩვენი ქვეყნის მომავალს.



**— თქვენს მიერ დანახული ქვეყნის მომავალი როგორია?**

— მოგახსენებთ. რა არის ჩვენი ქვეყნის მომავალი? — ქვეყანა არასოდეს არის არც მთები, არც სათაყვანებელი ეკლესია-მონასტრები, არც ჩვენი უნიკალური ფოლკლორი. ქვეყანა, ეს არის ადამიანები, ბატონებო! **საბჭოთა იმპერიიდან გამოსვლისას 5,5 მილიონი, ვიყავით, დღეს, 3,7 მილიონი ვართ, აქედან, 2 მილიონი — საუკეთესო, აქტიური ნაწილი ქვეყნიდანაა გასული, ზუსტად მილიონი ადამიანი რიგში დგას და ვიზა-ლიბერალიზაციას ელოდება, რომ მერე, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში შემორჩეს და თავი ისე დაირჩინოს. აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ.** რა თქმა უნდა, თემა რაც თქვენ წამოჭერით ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ საკითხებზე სიმპოზიუმები უნდა მოვაწყოთ და არა კვერისდამკვრელი შეხვედრები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან, რაც მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე არასამთავრობოების მიერაა ორგანიზებული, სადაც რეალობას მოწყვეტილი დითირამბების გარდა, ვერაფერს გაიგონებთ. როგორც მარქსი ამბობდა: წარსულიდან მხოლოდ გაკვეთილები უნდა ავიღოთ და აღარ ვიყოთ იმ მდგომარეობაში, როცა მკვდარი თაობების ტრადიციები კოშმარივით გვაწვება. მაგრამ არც ისე უნდა ვიყოთ, რომ წარსული დავივიწყოთ, გავხდეთ ცხოველები და გადავეშვათ გაურკვეველ მომავალში, სადაც არ იქნება ეროვნული კულტურები, სახელმწიფოებრივი სივრცე. თუ ჩვენ ეროვნულობა მოვშალეთ, ისტორიული წარსულის, აწმყოს და მომავალის განცდა დავკარგეთ და უეროვნებო მასად გარდავიქეცით, მაშინ აზრი აღარაფერს ექნება. რა თქმა უნდა, გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია, ტრამპი მას ვერ შეაჩერებს, არც უნდა შეაჩეროს იმიტომ, რომ ჩვენ ერთიანი მსოფლიო გვინდა არა ადამიანების განსხვავების გარეშე არსებული ერთიანი მასა, არამედ თავიანთი სახელმწიფოებრიობით, ღირსებით, კულტურით, ეროვნულობით დამშვენებული ჯგუფები, ქვეყნები, რეგიონები, რომლებიც შეადგენენ ერთ მთლიან თავისუფალ მსოფლიოს. ამის გაგება და განცდა ჩვენს გლობალისტებს სერიოზულად უჭირთ და აკლიათ.

**— ახლა ახსენეთ, უეროვნებო მასად არ უნდა ვიქცეთო. ამან ტრამპის განცხადება გამახსენა, სადაც იგი ეროვნულობაზე ამახვილებს ყურადღებას. რაზე მიგანიშნებთ ყოველივე?**

— ტრამპი კიდევ ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს, თუმცა იმის პირველი ნიშნები რომ გარემოცვა მის შეხედულებებს კორექტირებას გაუკეთებს, უკვე არის. ტრამპი საუბრობს ქვეყნებზე, ეროვნულ ინტერესებზე. იგი ამბობს: თუ სირიიდან დევნილების თავშესაფრის თაობაზე თხოვნა იქნება, უპირატესობას ქრისტიან სირიელებს მიანიჭებს. ეს რაღაც ახალია და თან არ მგონია, რელიგიური ნიშნით სხვა ჯგუფების დისკრიმინაციის გამოხატულება იყოს. ეს უბრალოდ, აშშ-ს უსაფრთხოების გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ტრამპი სულაც არ გულისხმობს მათ მიმართ დისკრიმინაციის განხორციელებას, უბრალოდ, ისლამი არის უფრო განშტოებების შემცველი რელიგია, ვიდრე ქრისტიანობა. რადი-



4 გვ. →

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ჯონის და ჯორჯის „გენმოდიფიცირებული“ ნაბიჭვრები და ერთის ნაცვლად ოთხი „ნაცმოძრაობა“



2012-წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ, სულ რამოდენიმე თვეში, საზოგადოების დიდი ნაწილი იმედგაცრუებული დარჩა რადგან, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ნაციონალური მოძრაობა საერთოდ გაქრებოდა ან უარეს შემთხვევაში დადუმდებოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავით დარწმუნებულები, რომ ჯორჯი და ჯონი „მოურავის“ საშუალებით კიდევ გაბედავდა და შეეცდებოდა ნაცხროვის რეანიმაციას. ნაცკადრებიც არსად წასულან ძალოვან სტრუქტურებში (არა მარტო) დაწინაურდნენ კიდეც და სისხლიანი წარსულის რეცხვით არიან დღემდე დაკავებულნი. სამართლიანობის აღდგენაც მხოლოდ შორეულ ოცნებებში დარჩა. სამაგიეროდ ნაცმოძრაობის გებელსი- ზურაბ ადეიშვილი, გვამების შემგროვებელი და ნარკობარონი ერეკლე კოდუა, კეზერაშვილი და სხვა ნაცგარეწრები მშვენივრად გრძნობენ თავს უცხოეთში და მათი ოჯახის წევრებსაც არავინ აწუხებთ ნუ, სინდისი კი არც არასდროს ქონდათ, რომ იმან მაინც შეაწუხოს. ლაურა ღაჭავას მიტაცებულ ქონებაზეც ნაკლებად ედავებიან და განაგრძობს მისი დანაშაულებრივი ბიზნესი მარად ყვავილობას... ბიძია ჯონის და ჯორჯის კალთა ნაცხროვის დანაშაულებრივ სინდიკატს დღემდე მფარველობს. მისი ვიზიტი არცთუ დიდი ხნის წინ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონების გამფლანგველი გიგილოს გათავისუფლებით დამთავრდა. მართალია აშშ ს წაქეზებით დაწყებულ ომში რუსეთის მიერ „ოკუპირებულ“ ტერიტორიაზეც იპოზიორა, მაგრამ ამით მხოლოდ მიშას „მრევლმა“ ისიამოვნა დანარჩენებს მაკკეინის ცრემლების დიდიხანია აღარ ჯერა. მისმა „გენმოდიფიცირებულმა“ შვილობილმა მიხომ უკრაინაშიც მოიჭრა თავი და დასავლეთი, საზოგადოების დიდ ნაწილს შეაძულა. ძალიან მალე გახდა ოდესაში ცნობილი, ვინ იყო და რას წარმოადგენდა ნაცების ბელადი მიშა, თავის კრიმინალურ ბანდასთან ერთად. მისი მფარველი „წყვდიადის ანგელოზები“



რასაკვირველია ძლიერ შეაწუხა შვილობილის ამდენმა მარცხმა, არადა მფარველები სავარაუდოდ იმასაც ფიქრობენ „კაიფში“ პირი არ მოაღოს მათმა „პირმშომ“ და ისედაც ლაფში ჩაკარგული მათი რეპუტაცია ბოლომდე არ დამარხოს. რაოდენ სამწუხაროა რომ ჩვენი ქვეყნის სამარცხვინო პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ჩვენ დამაქცევარ ჯორჯ სოროსს გაწეული სამსახურისთვის, ალბათ ნაცლიდერები მასაც უხდიან მადლობას ერთგული სამსახურისთვის... იმედი მაქვს მათთვის ცნობილია სოციალურ ქსელში როგორი ქართული ხალხური გინებით ამკობენ სოროსზე და მაკკეინზე საეჭვოდ შეყვარებულ და საქართველოს მოძულე პრეზიდენტს საეჭვო „დასავლელ“ მფარველებთან ერთად.

საქართველოს და ქართველების მტრების გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობა“ ოფიციალურად დაიშალა და საბოლოოდ ოთხი პარტია ჩამოყალიბდა „ნაცმოძრაობა“ სააკაშვილის ლიდერობით, „ევროპული საქართველო“ ბოკერია-უგულავა, გიორგი ვაშაძის „ახალი საქართველო“ ზურაბ ჯაფარიძის „გირჩი“ (პლანისმთესველები“). საყურადღებოა ოცნებაში გადაპორტირებული ცნობადი ნაცებიც რომლებსაც ბელადის სიყვარული ჯერაც არ განელებიათ და როდის შეუერთდებიან „დაშლილებს“ არავინ იცის ასევე საკითხავია ის არაცნობადი და ამჟამად „გამაჟორიტარებული“ ნაცები რომლებიც გულდასმით მალავდნენ წარსულში ნაცმოძრაობის წევრობას, თუმცა ფაქტები მათ კავშირზე ღაღადებდნენ. საბანკო სისტემაში მოკალათებული „გამოსწორებული“ ნაცები ლარის თამაშით მოსახლეობას სიკვდილ-სიცოცხლეზე ეთამაშებიან და ოცნებაზე იწმინდავენ ბინძურ ხელებს, თან სატანის ღიმილით თაბორის მთისკენ იშვერენ თითს. მთავრობაშიც თბი-



ლად არიან მოკალათებული ნაცანასხლეტები და მომენტს არ უშვებენ „პატრონს“ „ოცნების“ გაკეთებული საქმე ნგრევად გამოაცხადებინონ...ნაცმოძრაობას ყავდა და ყავს ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც („თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“, „პაატა ბურჭულაძე-საქართველოს განვითარებისთვის“ და სხვა) „ფარული ნაცები“ რომლებსაც ერთი იდეოლოგია აერთიანებთ, რომელიც პოლიტიკური კორექტულობის აბრის ქვეშ ცდილობს ჩვენი საზოგადოების დანგრევას, როგორც თავის დროზე ლენინი მუშებით, დღეს ისინი სარგებლობენ უმცირესობებით, როგორც საზოგადოებაზე ზეწოლის და მისი კონტროლის ინსტრუმენტებით. რაც უფრო ცუდად გრძნობენ თავს უმცირესობები, მით უკეთესი მათი ლიდერებისთვის. ეს არის მარქსიზმის უბოროტესი ვერსია. რომელსაც ნაცხროვა დღემდე წარმატებით ახორციელებს. ბოლშევიკებს და მარქსიზმს ნაცელიტა ლანძღავს, მაგრამ მათი იდეოლოგიის შეუდარებელი გამტარებლები არიან. როგორც სააკაშვილი ებრძოდა ნარკომანიას და ნარკომაფია ყვაოდა მის წრეში, თვითონ კი ნარკოტიკით გაბრუებული სამარცხვინო კადრებს ტოვებდა... სამწუხაროდ დღემდე საქართველოში - დღემდე დასაქმების პრიორიტეტებია ევროპულ-ამერიკული სერთიფიკატი. ბუნდოვანი უნარ-ჩვევების ცოდნა. ნულოვანი ტოლერანტობა და „ჯორჯ სოროსის „ფონდებში“ წვრთნების გავლა. ეროვნული სულისკვეთების განათლებულ ადამიანებს ხელმძღვანელ თანამდებობებს ახლოსაც არ აკარებენ, მეტიც, აიძულებენ ან ქვეყნიდან წავიდეს ან თავის გადასარჩენად ფიზიკურად იმუშაოს თუ ასაკი და ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს მაშინ ნაგავში ეძებოს სარჩო... სააკაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ როგორც საქართველო არ დაიშლება ისე ნაციონალურ მოძრაობას არ უწერია დაშლაო. არადა „გამობრწყინებიდან“ ქვეყნის დაშლა განადგურება, განიავებით იყო დაკავებული. ამბობენ, ომიც მამა- ჯონის საამებლად და ჯიბის გასასქელებლად დაიწყო და ტერიტორიებთან ერთად უამრავი ადამიანის სიცოცხლეც შეწირა სატანას. თუმცა თავგამოდებული „დამცველების“ მეშვეობით დღემდე ცდილობს ყველაფერი სხვას გადააბრალოს, 2008-წლის ომი რომელიც თვითონ დაიწყო უფროსი ძმების წაქეზებით, რუსეთის ბრალი ყოფილა, სულ ახლახანს ციხის კადრების გადაღებაც რუსეთს დააბრალა, მაგრამ არ უხსენებია სამეგრელოში სამალავებიდან ამოღებული ფირები „რუსეთის ჯაშუშების“ მონაწილეობით, ქუჩაში მისი რეფორმირებული, გარეწარი პოლიციელების მიერ ჩახოცილი უდანაშაულო ბიჭები, რომლის მშობლებსაც სამართლის ძიებაში ნელ-ნელა ხოცავენ და არაერთი უკვე გაისტუმრეს საიქიოს. 7 ნოემბრის, 26 მაისის და სხვა აქციების დარბევა, ხალხის უმოწყალო ცემა-ტყეპით და თვალების დათხრით, კანონით აკრძალული რეზინის ტყვიების გამოყენებაც რუსეთმა „დადგა?“ კონსტიტუციით „დაცული“ კერძო საკუთრებაც რუსეთმა შეარგო ნაცხროვას და უამრავი სიბინძურეც? ვფიქრობ, ჯერჯერობით გასდით ნაცებს „ტინკიცი“ თუმცა, დასასრული ყველაფერს აქვს... ალბათ, მიხეილიც გაიგებდა, რომ დონალდ ტრამპს აშშ-ის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებისთვის უცხოეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ ლობიზმი აუკრძალავს..ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის ჩინოვნიკს ლობირება უცხოეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ სამუდამოდ ეკრძალება, ანუ როგორც სამსახურის დროს, ასევე გადადგომის შემდეგაც. „ვისაც ჩემს მთავრობაში გავლენები

4 გვ.



# ქვეყანა არც მთებია, არც მდინარეები, არც სათაყვანებელი ეკლესია-მონასტრები, არც უნიკალური ფოლკლორი. ქვეყანა, ეს არის ადამიანები, ბატონებო!



2 გვ.

კალური ისლამისკენ გადახრილი ადამიანები მწვავე ნაბიჯებს დგამენ, რასაც დასავლეთი და მთელი მსოფლიო ტერორიზმს უწოდებს. აქედან გამომდინარე, ტრამპის ხედვა, წინა პრეზიდენტების რიტორიკისგან, აბსოლუტურად, განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ მრავალი წლის შემდეგ, იგი, ამერიკის პირველი ეროვნული ლიდერია. ტრამპი უწინარეს ყოვლისა ამერიკელების პრეზიდენტია და მერე არის მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის მეთაური. იმით, რასაც ამბობს, ფაქტობრივად, დაამთავრა ამერიკელების ლიდერობა მსოფლიო პროცესებში და თქვა: ამერიკა უპირველეს ყოვლისა. მახსოვს, ჩვენთან ლოზუნგი: საქართველო უპირველეს ყოვლისა, მაშინ მოინათლა როგორც ნაციონალიზმის დაუშვებელი გამოვლინება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ტრამპის ეს განცხადება ამერიკელების გარკვეული ნაწილისთვის არის კოშმარი. ამით ტრამპმა თქვა, რომ მთელს მსოფლიოზე ზრუნვა აუცილებელია, მაგრამ ჯერ ჩვენი საშინაო პრობლემები მოვაგვაროთ. რა თქმა უნდა, სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები და ა.შ. მთელს მსოფლიოში უნდა მოგვარდეს, მაგრამ ეს ამერიკელი ერის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ამით მან თქვა: ლიდერობა რომელიც საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ იყო — ამერიკელები უპირობო ლიდერები იყვნენ, ყველა ამერიკისგან იღებდა დირექტივებს, მათ შორის, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნის ლიდერები და მსოფლიო ამ გზით ვითარდებოდა, მთელი პროცესები მხოლოდ ამერიკის ადმინისტრაციის ნებით იმართებოდა. ახლა, ამ ყველაფერზე ამერიკას უარი აქვს ნათქვამი, თუმცა, მყისიერად თამაშიდან გასვლაც არ შეიძლება. ამერიკის ფაქტორი უამრავ რეგიონში განაპირობებს ზოგან მტკიცე, ზოგან მყიფე მშვიდობას. აშშ-ს ადმინისტრაციას, მის ინტელექტუალურ ცენტრებს, პოლიტიკურ ელიტას სერიოზული სამუშაო აქვს ჩასატარებელი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ტრამპის არჩევაში შეასრულეს არა იმიგრანტებმა, რომელთა ხმების წყალობითაც ჰილარი კლინტონმა სამი მილიონით მეტი ხმა მიიღო, არამედ იმ ამერიკამ მათმა შთამომავლებმა, რომლებიც ზოგი ევროპიდანაა ჩასული, ზოგიც აფრიკიდან. მათ ამერიკის კეთილდღეობა და დიდება შექმნეს და სწორედ, მათ გადაწყვიტეს ტრამპის ბედი. დღეს, პუტინიც კი აღიარებს, რომ ამერიკა მსოფლიოში ლიდერი ქვეყანაა. მაგრამ თავად ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას, ლიდერობა ძველი გაგებით, აღარ სურს. მათ ამერიკის ინტერესები და მსოფლიო პოლიტიკის ვექტორები სხვაგვარად წარმოუდგენიათ.

**— ბატონო ვაჟა, მარქსის ცნობილი ფრაზა გავიხსენოთ: „პროლეტარიატი კაპიტალიზმის მესაფლავეა". როგორ ფიქრობთ, რა ხდება ამ კუთხით, საქართველოში. ხელისუფლებას, მდიდარ კლასსა და ღატაკებს შორის დაპირისპირება მწვავდება. ხომ არ მწიფდება სიტუაცია რომ ქართველმა პროლეტარებმა კაპიტალიზმის დასაფლავება მოინდომონ?**

— თქვენ, მარქსი ახსენეთ, მეც გავიხსენებ ჩემს საბჭოურ წარსულს თუ რას ამბობდა ენგელსი: ბუნებრივია, ქოხებში ისე ვერ იაზროვნებენ, როგორც სასახლეებშიო. ე.ი. თვით ენგელსი — პროლეტარიატის ერთ-ერთი იდეოლოგი ამბობდა, რომ სასახლეში ვინც არის მას დრო და საშუალება აქვს ქოხებში მცხოვრებლებზე და საერთოდ, ფილოსოფიურ საკითხებზე ფიქრისა, ხოლო ქოხში ადამიანია, ფაქტობრივად, მთელი დღე საარსებო საშუალებების ძიებას უნდება და მისი პროტესტი უფრო ინსტიქტებზეა დამყარებული, ვიდრე რეალური პერსპექტივის ხედვაზე. მე, მაინც მგონია, რომ კაპიტალიზმი ევროპა, სკანდინავიის ქვეყნებია, სადაც ხელისუფლებაში ხშირად არის სოციალისტური მთავრობები. იქ, ადამიანის უფლებების საოცარი დაცულობაა, სოციალური გარანტიები ძალიან მაღალია. ამიტომ, სოციალისტები, უწინარეს ყოვლისა, გამთანაბრებლები და გამანაწილებელნი არიან. მაგრამ თუ დოვლათი არ შეიქმნა, ისე გასანაწილებელიც არაფერი იქნება. არადა, დოვლათი, ძირითადად, კაპიტალისტურ ქვეყნებში იქმნება, იქ, სადაც არის კაპიტალი, კერძო საკუთრება, ინტერესი, კონკურენცია და შემდეგ, მოდიან სოციალისტები და ამ დოვლათს ანაწილებენ. საქართველოში, ახლა, ხელისუფლების სათავეში სოციალისტები რომ მოვიდნენ, მხოლოდ სკამებს თუ გადაინაწილებენ იმიტომ, რომ გადასანაწილებელი არაფერია. ვითარება რთულია. საქართველოში სხვა პრობლემაა. აქ, ერთმმართველობა გვაქვს. კვირიკაშვილმა კეთილი ინებოს და პოლიტიკური ლიდერი გახდეს, რასაც თავს არიდებს. ესაა მთელი პრობლემა და არა ის არასერიოზული პოლიტიკური თამაშები, რომელიც „ნაციონალების" გაყოფას უკავშირდება. რეალურად, ოპოზიციის ნიშა თავისუფალია. დასავლეთი, აშშ ამჩნევენ ჩვენს რეალობას, იციან რომ „ნაცები" ოპოზიციის როლს ვერ ასრულებენ. მათ მძიმე პოლიტიკური ტვირთი აქვთ, რასაც არაფრით ემიჯნებიან, სწორად არ აფასებენ წარსულს, კიდევ იძახიან მართლები ვართო. ყველას გვახსოვს, როგორი მართლებიც არიან. უგულავას შეწყალება, რაღაც ელიტის გადალაგება, ეს ყველაფერი პოლიტიკური თამაშების ნაწილია. კაბინეტიდან კაბინეტში გადაადგილდებიანდა მეტი არაფერი. კმარა. ოპოზიციის ნიშაა დასაკავებელი. შუა ივანიშვილმა კი არ უნდა გაკრიფოს, თვითონ პოლიტიკოსებმა უნდა იგრძნონ, რომ მათ ნიშა ამოწურეს. შუაში იქნებიან თუ ბოლოში, ელოდებიან ბატონი ბიძინა როდის მოიღებს მოწყალებას და მათ პროცესში ჩართავს. ეს სწორი არაა, დროს კარგავენ, რაც ქვეყანას არ წაადგება. მით უმეტეს, პოპულიზმი უკვე გადმონაშთია. ქართველი ხალხი იმდენად დაბრძენდა, რომ პოპულისტ ლიდერებს აღარ გაჰყვება. ამის ბოლო შანსი სააკაშვილის გალიდერება იყო. მიშას შემდეგ საქართველოში პოპულიზმი გამორიცხულია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ჯონის და ჯორჯის „გენმოდიფიცირებული" ნაბიჭვრები და ერთის ნაცვლად ოთხი „ნაცმოძრაობა"



3 გვ.

აქვს, საკუთარ ჯიბეზე კი არა, ამერიკელი ხალხისთვის უნდა იფიქროსო" ალბათ ჯონი და ჯორჯი ვერ იქნებიან მშვიდად. საინტერესოა ტრამპის ინაუგურაციაზე ბუჩქებში მყოფი" კურდღელი" მეგობრად რჩება თუ მის წინააღმდეგ ამხედრებულ ხრონწ ლიბერალებს შეუერთდება, რომლებსაც სავარაუდოდ, ნაკლებად ცხელათ ყველგან წარუმატებელი, გაშიფრული, პრობლემებით დახუნძლული „პერსონა ნონ გრატისთვის..."

**ჩნდება კითხვა - რატომ დაიშალნენ ნაცები და რატომ აცხადებს „დაშლილების" ყველა ფრთა, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის დასამარცხებლად იბრძოლებენ.**



მართალია ისტორიის წართმევით და რელიგიის და რწმენის წინააღმდეგ ომით, ნაცხროვამ მოახერხა და საზოგადოების ნაწილი ცხვრის ფარად ექცია თუმცა დიდ ნაწილს კატეგორიულად არ ჯერა ნაცების გამოსწორების და ზუსტად იციან, რომ ნაცების გაყოფით, მიმატება გამოკლებით ნამრავლი არ იცვლება და მაინც ერთი ხროვის წევრებად რჩებიან, სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკაში წარმატება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, თანხებთან, რომელიც დასავლეთის დახმარებით ქვეყნის და ხალხის „გატყავებით" არცთუ ცოტა აქვთ ნაცელიტას. სამაგიეროდ საერთოდ არა აქვთ დანაშაულის განცდა, რაც მაფიქრებინებს, რომ მათ არაერთი უბედურების მოტანა ჯერ კიდევ ძალუძთ. თუ ვინმეს გონია, რომ „დაშლილები" სასურველ მომენტში ვერ „აეწყობიან" ძალიან ცდება, რადგან მათ, სიძულვილი და ერთად წლების განმავლობაში ჩადენილი ბოროტება აერთიანებთ რაც რიგ შემთხვევაში სიყვარულზე უფრო ძლიერია. ვფიქრობ დაშლილი ნაცები უფრო მეტ ზიანს მოუტანენ ქვეყანას, „ნეოპარტიზანული" ბრძოლით ვიდრე ერთი - ნაცმოძრაობა.. არადა მათი გაქრობის პოლიტიკური ნებაც არ იყო, თორემ პარლამენტში და პარტიის ოფისებში კი არა ციხეში



უნდა იჯდნენ უკლებლივ ყველა, ნაცელიტის წევრები. „დაშლილი ნაცები" ბჭობდნენ და ტრამპი იცინოდაო... ვფიქრობ არავინ ელოდა მის ასეთ რადიკალურ ნაბიჯებს, განსაკუთრებით ჯორჯი და ჯონი არიან აღშფოთებულები და ყველანაირად ცდილობენ სამარეში„თავისიანებიც" ჩაიყოლონ. ნუ, „დაშლილების" გარდა საქართველოში სოროსს არცთუ ცოტა დაპურებული ლეკვი ყავს... „მოურავზე" მიმაგრებული, მოკლედ სანამ „დაშლილები", გადაპორტირებულები, ფარულები, შეპარულები და სოროსის კალთაგადაფარებულები არ „ჩაეხსნებიან" ხელისუფლებას არც სამართლიანობა აღსდგება, არც ლარი გამყარდება და არც ქვეყანას ეშველება. კარგი ნაცი მხოლოდ მკვდარი ნაცი ვიცი მე!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# ვინ ჩამოსვამს მკვლელებს მანქანებიდან?

## მომრავლებული ავტოავარიების მიზეზი სრული უკონტროლობაა - შეიძლება მთელი დღე-ღამე ქუჩაში დაქროდეს განგრეულ კაიფში მყოფი, ან მთვრალი მძღოლი და არავინ გააჩეროს





ავტოავარიებთან დაკავშირებით, საქართველოში კატასტროფული ვითარება რომ იყო შექმნილი, „საერთო გაზეთი“ წლების წინ წერდა. სხვათა შორის, ანალოგიური ვითარება იყო ნაციონალების მმართველობისასაც, უბრალოდ, მაშინ საზოგადოებას საგულდაგულოდ უმალავდნენ, დანაშაულობათა რეალურ სტატისტიკას. არ ვიცით, რა განათლება და გამოცდილება აქვთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში, იმ პერსონებს რომლებიც „ტელევარსკვლავებად“ არიან ქცეულნი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ საქართველოში მრავლად არიან ამ სფეროს პროფესიონალები, მაგრამ ისინი მედიასაშუალებებში ნაკლებად ჩანან. როგორც ჩანს, ჟურნალისტებს კარგად გაპიარებულ საეჭვო წარმომავლობის ექსპერტთა ნააზრევი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე პროფესიონალთა პოზიცია.

პატივცემულო ხელისუფლებავ და საზოგადოებავ, მარტო კანონმდებლობის გამკაცრება, შექმნილ საგანგაშო ვითარებას ვერ გააჯანსაღებს, კომპლექსური მიდგომაა საჭირო, პირველ რიგში გზებსა და ქუჩებში საპატრულო პოლიციის კონტროლი უნდა გაძლიერდეს. ნუ გვიწყენთ, მაგრამ ეს კონტროლი ნაკლებად ჩანს, მარტო უსაფრთხოების ღვედის არგამოყენებისა და მობილურ ტელეფონზე საუბრის გამო მძღოლის დასჯა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ალბათობას ვერ შეამცირებს. ნასვამი მძღოლი რომ დასაჯო, პირველ რიგში ის უნდა გამოავლინო, ავტოავარიას რომ მოახდენს და ვინმეს იმსხვერპლებს, მისი დასჯა უკან მიდევნებულ ლამპარს ჰგავს. პატრული დარღვევის გარეშე არავის აჩერებს, თუმცა საუბედუროდ, ხშირ შემთხვევაში დამრღვევსაც არ აჩერებენ. შეიძლება იგივე ნასვამი მძღოლი თბილისიდან ქუთაისამდე თუ ზუგდიდამდე ისე ჩავიდეს, რომ არავინ გააჩეროს. არც ის არის გამორიცხული ათეულობით კილომეტრიც ისე გაიარო, რომ ერთი საპატრულო ეკიპაჟიც კი ვერ დალანდო, თუ შეგხვდა, შეიძლება ისე გარბოდეს, რომ გვერდით არც იყურებოდეს. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა საპატრულო პოლიციამ უნდა განახორციელოს, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, შეძლებს ეს სამსახური სრულფასოვან კონტროლს, როცა კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის ფუნქციებიც აკისრია. როცა ძარცვა-ყაჩაღობის, ოჯახური ძალადობისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტზე ხდება პატრულის გამოძახება, მათ ცხადია, რეაგირება უნდა მოახდინონ, სათანადო დოკუმენტებიც შეადგინონ, რასაც დრო სჭირდება. ამ პერიოდში კი მისი საზედამხედველო უბანი ფაქტობრივად უკონტროლო რჩება. მეორე საკითხია, რამდენად პროფესიონალები არიან ისინი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში. „დემოკრატ-რეფორმატორმა“ სააკაშვილმა 2004 წელს საგზაო პოლიცია რომ გააუქმა, მთელი კონტიგენტი, რომელთა შორისაც უამრავი პროფესიონალი იყო, ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გაყარა, აქაოდა კორუმპირებულები ხართო. ახლადშექმნილი საპატრულო პოლიცია მთლიანად ქუჩაში მოკრეფილი, ორკვირიან სწავლება გავლილი კადრებით დააკომპლექტა, რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღი ტელევიზორში თუ ჰქონდათ ნანახი, ხოლო მართვის მოწმობები მუშაობის დაწყების წინ აიღეს. საინტერესოა, ასეთ პატრულს როგორ უნდა გამოევლინა დამრღვევი მძღოლი, როცა თავად ვერ მართავდნენ ნორმალურად ავტომანქანებს და დიღმის ტერიტორია (აგრარული უნივერსიტეტის ეზო, გლდანი-დიღმისდამაკავშირებელ გზასთან მდებარე ავტოსადგომი), დალეწილი ძვირადღირებული ოპერატიული ავტომანქანების „სასაფლაოდ“ იყო ქცეული.

ნაციონალები და მათი სატელიტები დღეს ასე რომ სწუხან ავტოავარიების გამო ამდენი ხალხი გვეღუპებაო, სწორედ მათ გააუქმეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ანალოგიც საბჭოთა კავშირში სულ სამი იყო, მოსკოვში, თბილისში და კიევში. ნაციონალებმა ამ ცენტრს ჯერ დაფინანსება შეუწყვიტეს, ვერა ქობალიას მინისტრობისას კი საერთოდ გააუქმეს.

„საერთო გაზეთის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია ხსენებული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრის განყოფილების უფროსი **ვასო რჩეულიშვილი**, რომლის განცხადებითაც, ყველა ავტომაგისტრალსა და ცენტრალურ ქუჩებზე პერიოდულად უნდა ხდებოდეს გზის საფარის გამოკვლევა.

ვასო რჩეულიშვილი: „სამეცნიერო-კვლევით ცენტრში სპეციალური განყოფილება ფუნქციონირებდა, რომელიც გზის საფარის ჩაჭიდებულობის კოეფიციენტს იკვლევდა. სისტემატურად უნდა შემოწმდეს გზის საფარი, უნდა გაირკვეს რამხელაა სამუხრუჭე მანძილი, რისთვისაც არსებობს სპეციალური



ხელსაწყოები. გზის მდგომარეობა პირდაპირ არის დაკავშირებული ავტოავარიებთან. თუ ჩაჭიდებულობის კოეფიციენტი დაბალია, ამ შემთხვევაში სამუხრუჭე მანძილი იზრდება, თუ ავტომანქანამ, სიტყვაზე ხუთ მეტრში უნდა დაამუხრუჭოს, ათ მეტრში ამუხრუჭებს, ანუ შეჯახების ალბათობა იზრდება. მოგეხსენებათ, გზის ზედაპირი ცვდება, განსაკუთრებითინტენსიური მოძრაობის დროს, ამიტომ მას განახლება ჭირდება. ადრე, როცა ავტომაგისტრალებზე ასფალტი იყო, პერიოდულად ხდებოდა ზედაპირის მოხსნა და ხელახლა გადაგება. ბეტონის საფარზე რამდენია მოჭიდებულობის კოეფიციენტი და როგორ უნდა მოხდეს ზედაპირის აღდგენა, ამას მეგზევე-ინჟინრები უკეთ აგიხსნიან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტომანქანის გამართულობას, ტექნიკური დათვალიერების შემდეგ, უამრავი გაუმართავი ავტომანქანა მოძრაობს, რაც ავტოაავარიების ალბათობას ზრდის. ტექდათვალიერება რომ ჩატარდეს, მერწმუნეთ, საქართველოს ავტოპარკის 30% გაჩერდება.

**- ბატონო ვასო, საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების ბუმია, ეს ტრანსპორტი არ ქმნის პრობლემას, მძღოლს ხომ ფაქტობრივად შეზღუდული აქვს მხედველობის არეალი?**

- საჭე არ არის პრობლემა, ეს ადაპტირებადია, ადამიანი შეეჩვევა, ასე რომ, ეს დეტაილ მოძრაობის უსაფრთხოებაზე გავლენას არ ახდენს. გავლენას მისი სასინათლო ხელსაწყოები ახდენს, მარჯვენა მხარის მაგივრად, მარცხენა მხარეს ანათებს და შემხვედრს „აბნელებს“, თუმცა ამაზე რატომღაც არავინ საუბრობს. სწორედ ამგვარი განათებაა საგზაო მოძრაობისთვის სახიფათო, თორემ დანარჩენში პრობლემას ვერ ვხედავ. მთავარი პრობლემა მძღოლის პროფესიონალიზმია, ის უნდა ვიკითხოთ, როგორ გასცემენ მართვის მოწმობებს. როგორ შეიძლება გამოსაცდელი პირი ქუჩაში არ გაიყვანო და შეამოწმო როგორ მოძრაობს, მარტო ავტომანქანის შეყენება-გამოყენება რომ შეუძლია, ამისთვის არ უნდა მისცე მართვის მოწმობა. ჩემი აზრით, მართვის მოწმობა იმ დაწესებულებამ უნდა გასცეს, რომელიც მძღოლს ამზადებს. თუ ვთქვათ, სამედიცინო უნივერსიტეტი გასცემს დიპლომს თავის სტუდენტზე და ექიმად აღიარებს, რომელსაც ადამიანის სიცოცხლეს ვანდობთ, რატომ არ შეიძლება ავტოსკოლამ გასცეს მართვის მოწმობა? სხვათა შორის, ეს საპატრულო პოლიციისთვისაც კარგი იქნება, რომელი ავტოსკოლის კურსდამთავრებულიც ხშირად დაარღვევს მოძრაობის წესებს, ამ სკოლის ლიცენზირების გაუქმების საკითხი დადგება, თუ ქალაქში მოძრაობისას არ ჩააბარებინეს გამოცდა, როგორ უნდა გაიგონ შეუძლია თუ არა ამ ადამიანს უპრობლემოდ მოძრაობა. ეს „ახალგამომცხვარი“ მძღოლები, მერე უკვე საჭესთან მიმჯდრები დამოუკიდებლად სწავლობენ ნორმალურად მართვას და მოძრაობას, აი, როგორ სწავლობენ, ეს კიდევ ცალკე თემაა. ამიტომაც ვამბობ, მართვის მოწმობა სკოლამ უნდა გასცეს, რომელიც დაინტერესებული იქნება, რომ მოსწავლეს სრულყოფილი ცოდნა მისცეს. ავტოავარიის ძირითადი გამომწვევი მიზეზი სიჩქარის გადაჭარბებაა, რამდენადაც ვიცი, შსს-ს შემოტანილი აქვს სიჩქარის მაკონტროლებლები, ძალიან კარგი იქნება თუ დროზე დაამონტაჟებენ, მაშინ ყველა ეცდება დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები. სიჩქარის შემზღუდავ ე.წ. ბუგაროკებს ეს მოწყობილობა გაცილებით ჯობია, „ბუგაროკი“ გარდა იმისა, რომ ხმაურს იწვევს, ავტომანქანასაც აფუჭებს. 80-იან წლებში ჩვენმა სამსახურმა ათი ცალი ასეთი მოწყობილობა შემოიტანა, პირველად კახეთის გზატკეცილზე, „ორხევის“ ხიდზე დავამონტაჟეთ, მაშინ სად იყო ასეთი ინტენსივობა, მაგრამ ერთ დღეში 900 დარღვევა დაფიქსირდა.

კვლევით ცენტრში ფუნქციონირებდა ანალიზის განყოფილება, სადაც ხდებოდა ავტოავარიები, იმ უბნებს შევისწავლიდით. იმ ადგილზე, 2-3 მძიმეშედეგიანი ავტოავარია იყო მომხდარი, მას ავარიულად დაზიანებული უბანი, „შავი წერტილი“ ერქვა, ხდებოდა მისი სერიოზული შესწავლა, ვგეგმავდით კონკრეტულ ღონისძიებებს, რასაც საგზაო პოლიცია ახორციელებდა. ასეთი ღონისძიებები ახლაც აუცილებელია, რასაც პროფესიონალი შემსრულებლები ჭირდება. ნაციონალებმა მარტო საგზაო პოლიცია კი არ გააუქმეს და იქიდან გაყარეს პროფესიონალები, პოლიციის აკადემიიდანაც გაუშვეს ის ხალხი, ვინც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებს ასწავლიდა. იქაც გამოუცდელი ახალგაზრდები მიიღეს, ისევე როგორც საპატრულო პოლიციაში. ახალი თაობა რომ მოდის, იმათ აღზრდა ხომ უნდა, ამათ მასწავლებელი არავინ დატოვეს. ეს იყო მთელი უბედურება. საპატრულო პოლიციამ თავიდან რომ დაიწყო მუშაობა, დამრღვევ მძღოლებს ვერც აჩერებდნენ, არ იცოდნენ რა დარღვევა იყო, რომ გაეჩერებინათ, როგორ აუხსნიდნენ რა დაარღვია. ამიტომაც იყო ქაოტური მოძრაობა მთელს ქვეყანაში. ამ საქმეს სერიოზული მიხედვა ჭირდება, პოლიციის აკადემიაში არის სპეციალური კურსები, სადაც შეიძლება მათი გადამზადება მოხდეს, მოძრაობის უსაფრთხოების მინიმალური საკითხები მაინც შეასწავლონ, რომ მზად იყვნენ ამხელა გამოწვევებისთვის.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# თამარ დადიანი:
# 2 თებერვლის მოვლენებიდან 25 წელი გავიდა, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის, როგორ ეგდო ქუჩაში ყელგამოჭრილი ქალი...



**2 თებერვალს 25 წელი სრულდება სისხლიანი ანგარიშსწორებიდან, რომელიც 1992 წლის 22 დეკემბერს სამხედრო გადატრიალების გზით მოსულმა ხელისუფლებამ საკუთარ მოსახლეობას მოუწყო.**

**არაოფიციალური მონაცემებით, 1992 წლის 2 თებერვალს სამხედრო საბჭოს შეიარაღებულმა ფორმირებებმა 23 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს და 183 ადამიანი დაჭრეს. დაღუპულთაგან ყველაზე უმცროსი 16 წლის მედროშე მამუკა ტერაშვილი იყო. რამდენიმე ადამიანი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.**

***საერთო გაზეთს 1992 წლის იანვარ-თებერვლის აქციების ორგანიზატორი, ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი ლია ენუქიძე ესაუბრა:***



— 25 წელი გავიდა, მაგრამ ჩემში იმ ტრაგიკული დღეების განცდა ოდნავაც არ განელებულა. მახსოვს, ბუტჩისტებმა მთავრობის სახლთან უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ლექტორი, ფეხმძიმე ქალი ციცინო ქევხიშვილი მოგვიკლეს. თავზარდაცემულებმა ციცინო უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ და უკაცრიელ რუსთაველის გამზირზ გავედით. აკადემიის შენობასთან პუტჩისტები ამაზრზენი შეძახილებით ზეიმობდნენ.. 7 იანვარს დელისის მეტროსთან მიტინგზე მისულ ადამიანებს ცეცხლი გაუხსნეს და საპროტესტო აქციები შეჩერდა. ყველანაირად ვცდილობდით, რომ საქართველოში დატრიალებულ უბედურებაზე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ხმა მიგვეწვდინა. გავამზადეთ წერილები და სასტუმრო „მეტეხში"უცხოელ ჟურნალისტებს შევხვდით. ვესაუბრეთ, ავუხსენით რა უბედურება ხდებოდა და წერილები გადავეცით. პასუხად მივიღეთ, რომ თუ ასეთი ამბავია, რატომ არავინ არაფერს აპოროტესტებსო. ყველა ვხვდებოდით, რომ აუცილებელი იყო საპროტესტო აქციის მოწყობა, ამიტომ სასტუმროდან პირდაპირ ვაგზლის სადგურზე გავედით. არც მეგაფონი გვქონდა და არაფერი. როგორც შემეძლო, ხმამაღლა, ხალხს აქციაზე მოსვლისკენ მოვუწოდე, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ 300 000 ადამიანი მოვიდოდა.

**— იმას თუ ელოდით, რომ სამხედრო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებები გესროდნენ?**

— ჩვენ ყველაფერს ველოდით და ყველაფრისთვის მზად ვიყავით. ხალხი შემართებული და მომზადებული მოდიოდა და მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდებოდა. ადამიანებს ჯიბეში პასპორტი ედოთ, რომ უბედურების შემთხვევაში, ამოცნობა შესაძლებელი ყოფილიყო. ბოლო წუთამდე იქ ვიყავი, მაგრამ ალბათ, იმ დღეს სიკვდილი არ მეწერა. ჩვენ ყველა ოდესღაც წავალთ, მაგრამ სამშობლოს შეწირულები სხვა განზომილებაში არიან. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და სახელმწიფო ასეთ ადამიანებს არ უნდა ივიწყებდეს. მამუკა ტერაშვილი მხოლოდ 16 წლის იყო.. მას ოჯახში და-ძმა დარჩა. ამჟამად ყველანი უმუშევრები არიან, სახლი ბანკში აქვთ ჩადებული და მთელი ოჯახი პატარა სამზარეულოშია შეყუჟული. 25 წლის წინაც და დღესაც ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული - თუ 91-92 წლებში მომხდარის სამართლებრივი შეფასება არ მოხდა, არც პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებები დადგინდება, არც 3 იანვრის და 2 თებერვლის მიტინგების დახვრეტის და სამეგრელოს ოთხგზის აოხრების გამოძიება ჩატარდება, არც მერაბ კოსტავას სახლის ეზოში ნუგზარ ლეჟავას მკვლელობის საქმე გაიხსნება და არაფერი. ასე არ შეიძლება, თუ სახელმწიფო გვაქვს და მოქალაქეები გვქვია. სანამ თეთრს და შავს თავის სახელს არ დავარქმევთ, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

***საუბარს აგრძელებს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის" ლიდერი თამარ დადიანი:***

— 25 წელი სრულდება იმ ავბედითი დღიდან, რაც შეიარაღებული გადატრიალების გზით მოსულმა ადამიანებმა თბილისის ქუჩებში ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერებზე ნადირობა დაიწყეს. რაც ვნახე, ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება. რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე ლია ენუქიძე მშვიდობიან მიტინგს ატარებდა. შორიახლოს, სამი მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ნიღბიანი ადამიანები გადმოვიდნენ და მომიტინგეების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. პირველი ტყვია პრეზიდენტის სურათს მოხვდა. თქვენ წარმოიდგინეთ, უიარაღო ადამიანები შიშველი ხელებით დაუპირისპირდნენ და ბანდიტებს ნიღაბი ჩამოგლიჯეს. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მომღერალი აღმოჩნდა.

**— ეს ადამიანი თავად დაინახეთ?**

— დიახ, მეც და ჩემს გარდა, უამრავმა ადამიანმა დაინახა. ჩვენ აუცილებლად შევადგენთ იმ ადამიანების სიას, ვინც კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მიიღო მონაწილეობა და მშვიდობიან მოქალაქეებს იარაღით დაუპირისპირდა. 2 თებერვალს ერთ-ერთმა ცნობილმა მსახიობმა თავისი სახლიდან ცირკის ტერიტორიიდან გამოქცეულ ადამიანებს, რომლებიც თავის გადარჩენას ცდილობდნენ, ცეცხლი გაუხსნა. ისევ ხალხმა შეგვიფარა და გადაგვარჩინა, მაგრამ მსხვერპლი მაინც დიდი იყო.. 2 თებერვალს ჩვენს გვერდით, მუცელში დაჭრეს ჩუღურეთელი კოლორიტი მურთაზ ასათიანი. ოპერაცია გაუკეთეს და გადარჩა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, ინფარქტით გარდაიცვალა. წლის თავზე ცოლიც მიჰყვა. გადასასვლელ ხიდთან ცხოვრობდა ქალბატონი, რომელსაც ტყვია ხერხემალში მოხვდა და წელს ქვემოთ მოწყვიტა. მოგვიკლეს 16 წლის ბავშვი მამუკა ტერაშვილი, რომლის სისხლიან პერანგს დედამისი დღემდე ინახავს. 3 იანვარს, დიდუბის ტერიტორიაზე დახვრიტეს გივი რეხვიაშვილი. მამამისი ცნობილი მეღვინე იყო. შვილი დაკრძალა, ორმოცი გადაუხადა და მეორე დღეს ინფარქტით დაიღუპა. ამ ოჯახიდან ცოცხალი მხოლოდ გივი რეხვიაშვილის დედა და ძმა გადარჩნენ და ის გადარჩენილი ძმა უკვე სააკაშვილის რეჟიმმა შეიწირა. ფაქტობრივად, მთელი ოჯახი ამოწყვიტეს. პუტჩისტებმა მოკლეს მთაწმინდელი ლევან ქავთარაძე.. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ.. ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის, როგორ ეგდო ქუჩაში ყელგამოჭრილი ქალი .. რამდენიმე დღის წინ, თენგიზ კიტოვანიმა „ობიექტივის" ეთერში ცინიკურად განაცხადა მხედრიონელების მხრიდან მოხდა ერთი გასროლა იყო და შემთხვევით, ერთი ბავშვი დაიღუპა, მეტი არავინ მომკვდარაო. არ მესმის, ასეთი საშინელი ტყუილების სათქმელად, ასეთი ცინიზმის გასაჟღერებლად, ადამიანს ტელეეთერს როგორ უთმობენ? 2 თებერვლის ჯოჯოხეთი სამეგრელოში გაგრძელდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ შეიარაღებული კოლონები. არავის ინდობდნენ- არც ქალს და არც ბავშვს. ნარკოტიკებით გაჟღენთილი ადამიანები კლავდნენ, აუპატიურებდნენ, აწამებდნენ, ძარცვავდნენ. იმის წარმოსადგენაც კი ძნელია, რაც სამეგრელომ გადაიტანა.






**— როგორც ვიცი, 91-92 წლებში განვითარებ ული მოვლენებთან დაკავშირებით, პროკურატურაში განცხადება შეიტანეთ. რა პასუხი მიიღეთ?**

— ჯერჯერობით ჩვენი არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. პროკურატურა დუმს და პასუხი არ ჩანს. სამართლიანობის აღდგენის გარეშე კი სახელმწიფოდ ვერასოდეს შევდგებით.

მსგავსი არაფერი ყოფილა. სააკაშვილთან სამართლიანობის აღდგენაზე მუდმივი მოლაპარაკება მიმდინარეობდა. სახელმწიფო მინისტრის აპარატში შეიქმნა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხების შემსწავლელი აპარატი, რომელსაც 91-92 წლებში განვითარებული მოვლენები უნდა შეეფასებინა და დამნაშავეების დასჯის საკითხი დაეყენებინა. გამოიყო დაზარალებულთა საკომპენსაციო თანხებიც, მაგრამ ამით ყველაფერი დასრულდა.

მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სახელისუფლებო სტრუქტურებში შესულმა ადამიანებმა იდეალები ფულზე და პრივილეგიებზე გაცვალეს, ზვიად გამსახურდიაც დაივიწყეს და კანონიერი ხელისუფლების აღდგენას შეწირული ადამიანებიც. ვიღაცამ მარადიული დეპუტატობა მიიღო, ვიღაცამ თანამდებობა, ვიღაცის შვილი საფრანგეთში გაუშვეს სასწავლებლად და ოჯახებით პარიზში ცხოვრობენ. სამარცხვინო რამ მოხდა - საქართველოს პირველი პრეზიდენტი სასიკვდილო მახეში შემოიტყუეს და დღეს ზოგიერთები მისი სახელით პრივილეგიებს იხვეჭენ. სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული ხელისუფლების ბევრი მხარდამჭერი გაიყიდა და მაღალ იდეალებზე საუბრის უფლება დაკარგა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

## გიორგი მუხიგულაშვილი:

# რატომ იქცა საავადმყოფოები დახურული ტიპის დაწესებულებებად?!

***ჯანდაცვაში „რუხი კარდინალის“ — გია თვალავაძის მაფია მძვინვარებს?***

***საქართველოში უამრავი პაციენტი უჩივის ქართველი მედიკოსების უცოდინარობასა და გულგრილობას.***

***ჯანდაცვის სამინისტროს კი მიაჩნია, რომ ქართული კლინიკები საამქროებად იქცა.***

***სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ უფლებადამცველი გიორგი მუხიგულაშვილი გვესაუბრება.***

— საქმე ისაა, რომ ჩვენი ქვეყანაა, მგონი, ერთადერთი, სადაც ექიმი გაურკვეველი თანხებით ქმნის საკუთარ კლინიკას, არქმევს საკუთარ სახელს და იცის თუ არ იცის, იწყებს ავადმყოფების „მკურნალობას“, მერე, მავანთა მხარდაჭერით, ფატალური შემთხვევებისას, მშრალად გამოდის.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა რომ ამოქმედდა, ექიმებს, რატომღაც მაშინ უფრო გაეხსნათ მადა.

დღეს ვერც ერთი დაზარალებული პაციენტი ვერ პოულობს სამართალს, არასწორად დასმული დიაგნოზის გამო შეტანილი საჩივრის საპასუხოდ.

**— რატომ? სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სამსახური ხომ არსებობს?**

— დიახ, ჩემო ბატონო, არსებობს ჯანდაცვაში „რუხი კარდინალი“ და ექიმების დამსჯელად წოდებული, სამედიცინო საქმიანობაში ნომერ პირველ მაფიოზად წოდებული **გია თვალავაძე**, რომელიც სწორედ მაგ სამსახურის ხელმძღვანელი გახლავთ.

**— კონკრეტული ფაქტები დაგვისახელეთ, რის გამოც ბატონ თვალავაძეს მაფიოზს უწოდებთ.**

— მე თვითონ შევესწარი ერთ ასეთ ფაქტს: ვინმე გია მერებაშვილი, რომელიც გახლავთ შს სამინისტროს პოლკოვნიკი, ამჟამად პენსიონერია, მივიდა ერთ კლინიკაში, სადაც არასწორად გაუკეთეს ოპერაცია. მოკლედ, სიკვდილის პირას მიიყვანეს ეს კაცი. მან სცადა გასაჩივრება, რომ დასჯილიყო ექიმი **გურამ ქარაზანაშვილი**, რომელმაც მცდარი დიაგნოზი დაუსვა და ოპერაციაც შეცდომით ჩაუტარდა.

**გურამ ქარაზანაშვილის** შესახებ ის შემიძლია ვთქვა, რომ ყველამ იცის სამედიცინო სფეროში გურამ ქარაზანაშვილის ყოვლად არაკვალიფიცირებულობის შესახებ უროლოგიის კუთხით.

ერთი სიტყვით, დაიბარეს კომისიაზე ბატონი მერებაშვილი და იქ დახვდნენ კომისიის წევრები, 16 ექიმი, რომელთა შორის იმყოფებოდა თვით გურამ ქარაზანაშვილი. როგორ ფიქრობთ, კომისიის წევრები ერთმანეთს დასჯიან?

ჩვენ არ გვინახავს სამედიცინო საქმიანობაში არაკვალიფიცირებულობის გამო დასჯილი ექიმი ბოლო 9-10 წლის განმავლობაში. გარდაცვლილი და ექიმების მიერ ჯანმრთელობაშერყეული პაციენტების რიცხვი უამრავია. სამშობიაროები მშობიარეთა სასაკლაოდ იქცა.

იმ დამნაშავე, უცოდინარ ექიმს კი ერთი თვით უჩერდება ლიცენზია. თითქოს ერთ თვეში რაიმეს ისწავლის.

უფრო მეტსაც გეტყვით, რამდენი ადამიანისგან გამიგონია: რეანიმაციაში მყოფი — ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეერთებული პაციენტის ნათესავებს აყიდინეს ძვირადღირებული წამლები, ვითომდა ამით გადავარჩენთო, მომაკვდავ პაციენტს აცოცხლებენ ხელოვნურად რამდენიმე დღე, კაცმა არ იცის, იმ წამლებს აძლევენ თუ არა, რადგან კლინიკები ციხეზე მეტად ჩაკეტილ სისტემებად იქცა და ბოლოს ეუბნებიან, რომ პაციენტი გარდაიცვალა. ექიმები თაღლითობენ, გადაუდებელი მკურნალობისთვის სახელმწიფოსგან გამოყოფილი ის 15 000 ლარი რომ ამოწურონ.

არ დავასახელებ სახელსა და გვარს, სამედიცინო რეგულირების სამსახურში ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ფარულად შემხვდა და დამიდასტურა, რომ გია თვალავაძეს თათბირზე განუცხადებია: გიორგი მუხიგულაშვილი, რომელიც ჩემს საქმიანობას იკვლევს, დღეს თუ არა ხვალ დაიღლება, თუ არ მოგვეშვა, პროკურატურასთან პრობლემები მექნება, იქნება მოვახერხოთ ისე, რომ გავაჩეროთ ეს ადამიანიო...

მინდა გითხრათ, რომ დაღლას არ ვაპირებ და ინფორმაციებიც მრავლად მომდის მისი სამსახურიდან მისივე თანამშრომლების მიერ, რომლებსაც იმდენად ეზიზღებათ თვალავაძე, რომ ინფორმაციების მოწოდებას არ დაიზარებენ.

რაც შეეხება თვით თვალავაძეს, დეკლარაცია. გე.-ს გვერდზე თვალნათლივ ნახავთ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის **გია თვალავაძის** ხელფასს, რომელიც არის 2500 ლარი, ხოლო პრემიას 5000 ლარს იწერს ყოველ თვე. როგორც ხედავთ, გამოსდის თვეში 7500 ლარი. ანუ მას 24 საათიდან დღეში მხოლოდ ერთი საათი სძინავს, ან ხანდახან არც სძინავს.

მის უწყებაში ნეპოტიზმი ჰყავის. **გია თვალავაძის** მეუღლე ერთ-ერთ სამინისტროში სოციალური მომსახურების მთავარ სპეციალისტად არის გაფორმებული. პრემიებსაც უწერს თავის ცოლს და უნიშნავს 1200-ლარიან ხელფასს. რა კრიტერიუმით შეარჩიეს ეს ქალბატონი, ან რატომ აქვს ამხელა გავლენები გია თვალავაძეს? თუმცა რა გასაკვირია, ის ზურაბ ადეიშვილის კადრი იყო და დღეს თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო სფეროში ე. წ. რუხ კარდინალად ითვლება.

საქართველოში, ალბათ, არავის ახსოვს პასუხისგებაში მიცემულიყოს ექიმი, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი დაღუპული მშობიარე, არასწორად გაკეთებული ოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პაციენტი არსებობს. დაზარალებულების ახლობლები სამართალს ვერ პოულობენ, რადგან ვინც არ უნდა გაასაჩივროს სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელ სააგენტოში, ექიმს, მაქსიმუმ, შეუჩერებენ ლიცენზიას ერთი თვით. მერე ისევ აგრძელებს მუშაობას. დადის ხმები, რომ, თუკი, რეზიდენტი ვერ აბარებს გამოცდებს, 5000 დოლარიდან იწყება 10 000 დოლარამდე ადის თანხა გამოცდების „ჩასაწყობად“. სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი სააგენტოს თანამშრომლები იმასაც ამბობენ, გია თვალავაძის მოადგილე **პირველაშვილი** ყოველ წელიწადს აღნიშნავს ახალმოსახლეობასო. გამდიდრდა ხალხი ამ გაღატაკებულ ქვეყანაში და კაციშვილი არ არის ამ საქმეების მიმხედავი.

საიდან აიშენა თვალავაძემ საკუთარი სამსართულიანი სახლი, რომელიც დეკლარაციის მიხედვით, აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს და ფართი 150 მ კვ-ს შეადგენს?! მისი საბაზრო ღირებულება ზღვაში წვეთია თვალავაძის შემოსავლებთან შედარებით. აღმაშენებლის გამზირზევე, საკუთარ სახლთან ახლოს აქვს, ასევე, 100 კვ მ სახლი... რა სახსრებით ყიდულობს თვალავაძე ამ ქონებას, კაციშვილმა არ იცის.



გია თვალავაძე



2014 წლის დეკლარაციაში არ აქვს მითითებული მეორე სახლი, 2015-ში უკვე აქვს დაფიქსირებული. ეს მიუთითებს, რომ 2015 წელს აქვს ქონება შეძენილი.

იმის მაგივრად, რომ სამედიცინო სფეროს მიხედოს, ქონებას აგროვებს თვალავაძე. თუ თვითონ არ იცის, მე შევახსენებ: მაგალითად, **გურამ ქარაზანაშვილის** კლინიკას, **MMT**-ჰოსპიტალს, გია თვალავაძემ, ასე ვთქვათ, „პოსლეზე“ მისცა ლიცენზია და უფლება, რა კრიტერიუმებსაც ვერ აკმაყოფილებდა, გონივრულ ვადებში აღმოეფხვრა არსებული პრობლემები.

ინგოროყვას მაღალი ტექნოლოგიებით გამორჩეული კლინიკა, რომლის შენობაც ახალი აშენებულია. შენობა, როგორც შევიტყვე, კანონდარღვევებით არის აგებული. საჯარო რეესტრის მონაცემებით, შენობა დღემდე მშენებარედ ითვლება. რადგან შენობა კანონდარღვევით არის აშენებული და მშენებლობა დამთავრებულად რომ გამოაცხადონ, დიდძალი ჯარიმების გადახდა მოუწევთ.

მებადება საფუძვლიანი ეჭვი, რომ გია თვალავაძესთან გარიგებით ინგოროყვას კლინიკის ხელმძღვანელობა კანონდარღვევით ეწევა კლინიკის ფუნქციონირებას.

სალიცენზიო ნორმატივებში მითითებულია, რომ შენობა მკაცრ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. მშენებარე შენობას კი ლიცენზია არ ეძლევა.

**— თუ ასეა, შესაბამისი სამსახურები რატომ არ ინტერესდებიან?**

— პროკურატურა ენდობა სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამსახურს. მისი უფროსი გია თვალავაძე კი გახლავთ ადეიშვილის კადრი. ეს კაცი თავის დროზე პროკურატურაში იჯდა ყოველ მეორე დღეს და ექიმების და საავადმყოფოების სიებს აწვდიდა პროკურატურას წინასაარჩევნოდ რომელი კლინიკა და ექიმი იყო ნაციონალების მომხრე. დღესაც ჰყავს პროკურატურაში ამ კაცს თავისი ხალხი.

არ არის გამორიცხული, თვალავაძე დღესაც იგივე საქმიანობას ეწეოდეს წინასაარჩევნოდ, ახლაც ურეკავდეს მავანსა და მავანს და „ნაცმოძრაობის“ მხარდაჭერას უკვეთდეს. სწორედ ამის გამო მიიღო თვალავაძემ სააკაშვილისგან ღირსების ორდენი 2011 წელს.

2012 წელს სანამ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე თვალავძემ საჩხერეში გააგზავნა 16-კაციანი ჯგუფი. ამ ჯგუფმა 81 000 ლარად დააჯარიმა ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებული საავადმყოფო ვითომ ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო, როცა ასეთ შემთხვევებზე კანონმდებლობით 6 000 ლარი ჯარიმა ეკისრებათ.

თვალავაძე დღეს ავრცელებს ხმებს — კვირიკაშვილის ნათესავი ვარო, კალაძეს შორეულ ნათესავად ვერგებიო და ყოფილი შს მინისტრის ლექსო ჭიკაიძის გადაფსკვნილი ახლობელი გახლავართო.

ასეთ სიტუაციაში ვართ, ხოლო ავადმყოფები პანტაპუნტით იღუპებიან. ერთი კვირის წინ ჩემი ნაცნობი მშობიარე გარდაიცვალა სისხლდენით ისე, რომ ექიმმა ვერც გაიგო, ქალბატონს სისხლდენა თუ ჰქონდა, სანამ გარდაცვლილის დედამ არ ააწიოკა ყველაფერი, თუმცა უკვე გვიანი აღმოჩნდა. ექიმი არ დასჯილა და არც აპირებენ მის დასჯას.

**— გიორგი, თქვენ იცნობთ ბატონ თვალავაძეს?**

— არა, მაგრამ, როგორც გითხარით, იცის ჩემს შესახებ და პასუხად ყველას ერთსა და იმავეს ეუბნება: ეს არის ბრძოლა პატრიოტი ადამიანის წინააღმდეგო. მწარედ მეცინება ამაზე.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**P.S. მომდევნო ნომრებში ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ამ საკითხებზე საუბარს.**

**ინტერვიუში ნახსენებ ყველა პერსონას კი შეუძლია თავისი მოსაზრება შეუზღუდავად დააფიქსირონ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.**

# რატომ არის ნინო ბურჯანაძე „ყველაზე კომპეტენტური“, „ყველაზე მძიმეწონიანი“, „ყველაზე ჭკვიანი“ პოლიტიკოსი, რომელმაც ხელისუფლებაში ორჯერ მოიყვანა „ბრიყვი“ სააკაშვილი?!

## როგორც თვითონ აღიარებს, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის გადაწყვეტილება სააკაშვილთან და მერაბიშვილთან ერთად, სწორედ „დიდმა პოლიტიკოსმა“ ნინო ბურჯანაძემ მიიღო!



მართლაც, რატომ არ ინტერესდება ნინო ბურჯანაძით პროკურატურა?

მიუხედავად სასტიკი მარცხისა, რომელიც იწვნია 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველომ“, მისი თავქალი, ქალბატონი ბურჯანაძე არ შოშმინდება და მეარღნის მსგავსად, ჩვეულ რითმში, გაუთავებლად აბამს აჭიაბაჭიას - „ყველაზე ძლიერი პოლიტიკოსი ვარ,,, „ყველაზე კომპეტენტური პოლიტიკოსი ვარ,,, „ყველაზე მძიმეწონიანი პოლიტიკოსი ვარ,, და ასე შემდეგ...

ვსვამ მარტივ კითხვას: 2004-2008 წლების განმავლობაში სააკაშვილის სიგიჟეებს და ახირებებს კანონის ძალას აძლევდა ვინ? ვინ და ქვეყნის საკანონდებლო ორგანოს - პარლამენტის - იმდროინდელი სპიკერი, „ყველაზე ძლიერი“ და „ყველაზე კომპეტენტური“ პოლიტიკოსი - ნინო ბურჯანაძე!

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ამბავიც, რომ ქალბატონი ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობისას, პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ამოიღეს ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა, რის შედეგად ქართველი ერის სახელი ამოიშალა მსოფლიო ერების სიიდან; შეიქმნა ახალი ერი - „საქართველოს მოქალაქე“... ყველაზე საინტერესოა, რომ ეს დანაშაულებრივი კანონპროექტი, რომელიც ძირს უთხრის საქართველოში მის ძირძველ მოსახლეობას - ქართველებს, ქალბატონმა ბურჯანაძემ ისე მალულად გაათრია და დაამტკიცა კანონად, რომ იმ დროის პარლამენტარების უმრავლესობა ვერ იხსენებს, მოაწერა ამ დოკუმენტს ხელი თუ არა. განათლებით იურისტს - ნინო ბურჯანაძეს, როგორ გამოეპარა მხედველობიდან საქართველოს მიერ ათიათასობით (ან ასიათასობით) ახლადშემენილი უცხოტომელი მოქალაქე, როცა აცხადებს: საქართველოში მიწა უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებსო და არ დააზუსტა, რომელ მოქალაქეებზეა საუბარი (ასეთი ინიციატივით შევიდა ბურჯანაძე საკონსტიტუციო კომისიაში). რა არის ეს? სიბეცე თუ ღალატი? ან, ქალბატონი ბურჯანაძე არ დაფიქრდა, რომ მისი ეს ინიციატივა, დიდი ალბათობით, ხელს შეუწყობს კორუფციას და საქართველოს მოქალაქეობის უცხოელებზე მიყიდვას.

მე არ ვაპირებ ქალბატონ ბურჯანაძის თავზე სახარების კითხვას, რადგან ამას აზრი არ აქვს. მაგრამ მკითხველს მინდა შევახსენო ნინო ბურჯანაძის მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ და გთავაზობთ შემოკლებებით ორი წლის წინ გამოქვეყნებულ ჩემს წერილს - „პოლიტიკოსი ბურჯანაძე და მისი რანგი, ანუ რატომ არ ინტერესდება პროკურატურა ექსსპიკერით?“.

## 2008 წლის აგვისტო. ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილს: „ოღონდ მითხარი, როგორ მოვკვდე – დროშით თუ ავტომატით ხელში“...

2014 წლის 5 ნოემბერს ეკა ხოფერიას თოქ-შოუში, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგის დარბევის მეშვიდე წლისთავს მიეძღვნა, ქალბატონმა ბურჯანაძემ ბრძანა: „აქციებს მე ველოდი. ძალიან შეეშინდათ და მერე მიიღეს არაადეკვატური გადაწყვეტილებები, რომელიც ჩემთვის იყო ისეთივე სიურპრიზი, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანისათვის. არანაირი აუცილებლობა აქციის დარბევისა არ არსებობდა! ეს იყო სააკაშვილის გარემოცვის დაჟინება, როგორც მე გავიგე, რომ ხალხს ჭკუა უნდა ვასწავლოთ, რომ მეორედ იგივე არ გაკეთდესო“.

„მისი პოლიტიკური რანგის უდიდებულესობას“, ეტყობა, დაკარგული აქვს დროისა და სივრცის შეგრძნება. ქალბატონ ნინოს ავიწყდება, რომ 21-ე საუკუნეში არსებობს ინტერნეტი, კერძოდ, კეთილი „დეიდა გუგული“, იგივე, „გუგლი“, რომელშიც ყველაფერს მოძებნი, რაც სულსა და გულს მოესურვება. ამიტომ სამჯერ ზედიზედ, თანაც ყურადღებით მოვუსმინე მის გამოსვლას პარლამენტში 2007 წლის 9 ნოემბერს. მკითხველს უნდა გამოვუტყდე, რომ ასეთი გულწრფელი, როგორიც იყო იმ დღეს ქალბატონი ექსსპიკერი, არ მინახავს არც მანამდე და არც, სამწუხაროდ, შემდგომ.

მაშ, არსებობდა თუ არა მიტინგის დარბევის აუცილებლობა? აი, რას ამბობს 2007 წლის 9 ნოემბერს ნინო ბურჯანაძე (სტილი დაცულია): „ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული საზოგადოება შედგა და ქართული სახელმწიფო შედგა... კარგად დაუფიქრდით, რა საფრთხე ელოდა ჩვენს ქვეყანას... ეს იყო მცდელობა ულტიმატუმისა, ეს იყო მცდელობა ცალკეული პოლიტიკური ძალების ხელისუფლების და ქვეყნის დაშანტაჟებისა. ნებით თუ უნებლიეთ, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჩართული იმ პროცესებში, რომელსაც ძალიან კონკრეტული გვარი და სახელი მართავდა... ძალიან კონკრეტული ქვეყნის ინტერესში შედიოდა ეს და ძალიან კონკრეტული ძალის ინტერესებში შედიოდა ის, რომ ქვეყანაში ყოფილიყო არასტაბილურობა და ქვეყანაში ყოფილიყო სერიოზული საფრთხე მომავალი განვითარებისა“...

„მე იშვიათად ვამბობ ადამიანებთან დიალოგზე უარს, მაგრამ არიან ადამიანები და არიან პოლიტიკური ძალები, რომლებთანაც მე და ჩემი კოლეგები დიალოგს არ გავმართავთ. ესენი არიან ის ადამიანები, ვინც მხილებულნი არიან და ვინც ეჭვმიტანილნი არიან კონკრეტულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. ამ ადამიანებთან ჩვენ სალაპარაკო არაფერი გვაქვს (ტაში დარბაზში — ავტ.). ყველა დანარჩენ ადამიანებთან დიალოგთან ჩვენ მზად ვართ და მზადა ვართ გონივრული კომპრომისისათვის, რომელიც ქვეყნის ინტერესების შესაბამისობაში იქნება...“

„მე მინდა, გითხრათ და შეგახსენოთ, რომ იმ ავბედით 7 ნოემბერს 1917 წლისა, დღეს უკვე წმინდანად შერაცხულ ნიკოლოზ მეორეს რომ მეტი პოლიტიკური სიმტკიცე გამოეჩინა და იმ წუთში ნაკლები ადამიანური კეთილშობილება, რა აჯობებდა რუსეთისათვის და არა მარტო რუსეთისათვის? ნიკოლოზ მეორის მაშინდელ ადამიანურ სისუსტეს, როგორც პოლიტიკოსის სისუსტეს, მოჰყვა სისხლის მდინარეები კი არა, სისხლის ოკეანეები! ამიტომ არის პოლიტიკოსის და პოლიტიკოსების ცხოვრებაში პერიოდები, როდესაც ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, საკუთარი ნერვების, საკუთარი განცდების და ყველაფრის ფასად, რომ არ დაუშვა სისხლის მდინარეების დენა შენს ქვეყანაში, არ დაუშვა ის, რომ შენი ქვეყანა დადგეს ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ“.

ჰმ... დავიწყოთ იმით, რომ ნიკოლოზ მეორემ „ადამიანური და პოლიტიკური სისუსტე“ გამოავლინა არა 1917 წლის „ავბედით“ 7 ნოემბერს (ძველი სტილით 25 ოქტომბერს), არამედ 9 თვით ადრე — თებერვალში, როდესაც ტახტიდან გადადგა; არ მესმის, რატომ თვლის ქალბატონი ნინო ამ დღეს „ავბედითად“?! რომ არა 1917 წლის 7 ნოემბერი, ღარიბი გლეხის ბიჭი და ზესტაფონის ღვინის ქარხნის კასრების მრეცხავი — პატივცემული ანზორ ბურჯანაძე არათუ რაიკომის მდივანი ვერ გახდებოდა, არამედ დარჩებოდა წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო თვითონ ქალბატონი ნინო, ამ ობიექტური მიზეზის გამო, უტკბილეს სიზმარშიც კი ვერ იხილავდა ბრწყინვალე პოლიტიკურ კარიერას...

ვისაც ქალბატონი ნინოს ეს გამოსვლა უნახავს, შეამჩნევდა, რომ a La მარგარეტ ტეტჩერის კოსტიუმში გამოწყობილი თავმჯდომარე თავისი სიმტკიცით მართლაც ტოვებდა „რკინის თუ ფოლადის ლედის“ შთაბეჭდილებას. სინანულის არავითარი ნასახიც კი! არავითარი მერყეობა! მხოლოდ და მხოლოდ ცინიზმში გადასული უაპელაციობა!

ქალბატონ ნინოს ახასიათებს თავის გამართლების ძალზე არაორიგინალური მეთოდი: როდესაც საქმე ეხება ქვეყნის დაქცევის ფაქტებს, ნინო ბურჯანაძეს გამზადებული აქვს ფრაზები: „მე არაფერი ვიცოდი“, „არავინ არაფერს მეკითხებოდა“, „ეს ჩემთვის იყო სიურპრიზი“ და ა. შ., ხოლო, როცა საქმე ეხება ქვეყნის გადარჩენის საქმეს, აქ ექსსპიკერი პირველია და მისი გავლენა მოვლენებზე და პირადად სააკაშვილზე უზარმაზარია. მაგალითი? რამდენიც გნებავთ! თუმცა, ერთით შემოვიფარგლები.

თეა სიჭინავას 2014 წლის 4 თებერვლის „პოლიტიკის დროში“ ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ 2008 წლის აპრილში სააკაშვილი და მისი დამქაშები, ბოკერიას „თამადობით“, გეგმავდნენ აფხაზეთში ომის გაჩაღებას. ჟურნალისტის კითხვას — რამ გადააფიქრებინა სააკაშვილს აპრილში ომის დაწყება, 2014 წლის 4 თებერვალს“ ნინო ბურჯანაძემ ასეთი პასუხი გასცა (სტილი დაცულია): „...სატელეფონო საუბარი სააკაშვილსა და პუტინს შორის, ჩემი თანდასწრებით, ჩემი ინიციატივით შედგა ეს საუბარი. მაშინ პუტინმა უთხრა, რომ, თუ შენ ომს დაიწყებ, იქ დგას ჩემი სამშვიდობო ძალები, მე დავამარცხებ შენს ჯარს, ვცნობ აფხაზეთს და ოსეთს და, პრაქტიკულად, დაგიშლი ქვეყანასო... ჩემი კატეგორიული რჩევა იყო, რომ მას პუტინისთვის დაერეკა, რომ თავიდან აგვერიდებინა ომი. და მან ეს რჩევა გაიზიარა. ვფიქრობ, რომ



ამ სატელეფონო ზარმა განაპირობა, რომ მან ვერ გაბედა ომის დაწყება“.

მადლობის მეტი რა უნდა ვუთხრათ ქალბატონ ნინოს, მაგრამ ისევ რჩება კითხვები: „თუ არავინ არაფერს არ გეკითხებოდათ“, „ამაზე არაფერი იცოდით“ და ა. შ. მაშ, რატომ გაგაგებინეს ისეთი ზესაიდუმლო ამბავი, რომელიც 2008 წლის აპრილში აფხაზეთში ომის დაწყება იყო? ამასთან შედარებით „უწყინარი“ ამბავი — 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი დარბევა, მისთვის რატომ აღმოჩნდა „სიურპრიზი“? 2007 წლის 7 ნოემბერს ქალბატონმა ბურჯანაძემ რატომ არ დაიკავა „კატეგორიული პოზიცია“, რატომ არ მოუყვანა, მისივე აღიარებით, „ბრიყვ სააკაშვილს“ „სერიოზული არგუმენტები“ მიტინგის დარბევის დაუშვებლობაზე?..

აქ მახსენდება ერთი ქართული გამონათქვამი: „აბა, ჩემო მანასე, ხან ისე და ხან ასე“... ესაა უტიფრობა და არა პოლიტიკის მაღალი ხელოვნება!

თუმცა განვაგრძოთ „2007 წლის 9 ნოემბრის“ ნინო ბურჯანაძის გამოსვლის გახსენება (სტილი დაცულია): „... მე მინდა, თქვენ იცოდეთ, არ იყო ჩვენთვის მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება, არც პრეზიდენტისათვის, არც ჩემთვის, არც ამ დარბაზში მყოფი ნებისმიერი ადამიანისათვის, არც სამართალდამცავი ორგანოებისათვის. მე მინდა, თქვენ იცოდეთ და, ალბათ, იფიქროთ ჩემთან ერთად და წარმოიდგინოთ, რამხელა ტკივილი დუღდა, ვიტყვი ამ სიტყვებს, თუნდაც იმ სპეცრაზმელების და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გულში, რომლებიც იძულებულები იყვნენ, თავისი მეზობლის, თავისი ნაცნობის, თავისი თანამოქალაქის, თავისი... (აქ ქ-ნი ბურჯანაძე აკეთებს საკმაოდ ხანგრძლივ პაუზას — ავტ.) თუნდაც, შესაძლოა, ნათესავის წინაშეც კი მდგარიყვნენ. მაგრამ, პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, ამ ადამიანებმა შეძლეს საკუთარი ტკივილის და საკუთარი სიმძიმის განცდაზე მაღლა დაეყენათ ქვეყნის ინტერესი. ამ ადამიანებმა შეძლეს წარმოდგენა, რა მოჰყვებოდა მათ ამ წუთიერ სისუსტეს. ამ ადამიანებმა შეძლეს თავის თავზე მაღლა დამდგარიყვნენ“.

ო-ო-ო, ძნელი მოსაძებნია სიცრუის, ფარისევლობისა და ცინიზმის შერწყმის ამაზე უარესი მაგალითი! „კლასიკაა“ და მეტი არაფერი!..

ცნობილია: თუ გსურს, საიმედოდ დამალო საგანი, ის უნდა დადო ყველაზე გამოსაჩენ ადგილას. მართალია! 2007 წლის 7 ნოემბრის სასტიკი დარბევის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა — ვინ გასცა დარბევის ბრძანება? პასუხზე თავს ვიტეხდით და, ბოლოს, მომხდარში ივანე მერაბიშვილი დავადანაშაულეთ. არადა, ამ თავსატეხზე უზუსტესი პასუხი მივიღეთ სულ რაღაც ორ დღეში თვითონ ნინო ბურჯანაძისგან. აბა, გავიხსენოთ: მე მინდა თქვენ იცოდეთ, არ იყო ჩვენთვის მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება. არც პრეზიდენტისათვის, არც ჩემთვის, არც ამ დარბაზში მყოფი ნებისმიერი ადამიანისათვის, არც სამართალდამცავი ორგანოებისათვისო. რომელ „გადაწყვეტილებას“ გულისხმობს ქალბატონო ნინო? უეჭველად, დარბევას! პროკურატურა, ალო! გძინავს?! ეს ხომ ჯგუფური





დანაშაულის აღიარებაა! რა თქმა უნდა, ივანე მერაბიშვილი ამ საქმეში დამნაშავეა, მაგრამ არა ერთადერთი და არა მთავარი. ამ უნებლიე აღიარებაში ვანო მერაბიშვილთან ერთად დამნაშავეებად დასახელებულია ქვეყნის იმჟამინდელი პირველი პირი — პრეზიდენტი და მეორე პირი — პარლამენტის თავმჯდომარე!

ამ ლოგიკით, 2011 წლის 26 მაისს, როდესაც ქალბატონმა ნინომ, თავისი პოლიტიკური კარიერის გახანგრძლივების მიზნით, „სოროებიდან გამომძვრალი“ ხალხი სასაკლაოზე წაიყვანა რუსთაველის გამზირზე. იქნებ ჩემი ბავშვობის მეგობრის — ნიკა კვინტრაძის სხეული „მდუღარე ცრემლებით“ „დანამეს“ მისმა მკვლელებმა? ეგებ, ქალბატონო ნინო, ამ გარეგნულად უმოწყალო, სასტიკ ზონდერებსაც ტკივილისგან გულები უსკდებოდათ, დემონსტრანტებს რომ ურტყამდნენ და ესროდნენ? იქნებ, უკვე მეორედ ამ ქვეყნის ისტორიაში, ამ ადამიანებმა შეძლეს საკუთარ ტკივილსა და საკუთარ განცდაზე მაღლა დაეყენებინათ ქვეყნის ინტერესი? რა იცით, ქალბატონო ნინო, რომ 2011 წლის 26 მაისს „ამ ადამიანებმა შეძლეს წარმოდგენა, რა მოჰყვებოდა მათ იმ წუთიერ სისუსტეს“. იქნებ, იმ ღამეს ამ ზონდერებმაც მოახერხეს „საკუთარ თავზე ამაღლება“, მაშინ რას ემართლებით 26 მაისის აქციის დამრბევებს? როცა თქვენ არბევთ, კარგია, როცა თქვენ გარბევენ, ცუდია?

გავიხსენოთ, როგორ მოიქცა ნინო ბურჯანაძე სახელმწიფოსთვის საბედისწერო 2008 წლის აგვისტოს დღეებში? აი, რას იხსენებს ის: „როცა რუსები თბილისისაკენ დაიძრნენ, მე დავურეკე მიშას და ვუთხარი, რომ შევკრიბავდი ქალებს და გადავეღობებოდი რუსების ტანკებს. შევეკითხე: ოღონდ მითხარი, როგორ მოვკვდე — დროშით თუ ავტომატით ხელში“...

როგორც ხედავთ, ქალბატონი ნინო მზად იყო, გაეწყვიტა ქართველი მდედრი, ოღონდაც მის მიშიკოს ხელისუფლება შეენარჩუნებინა. ეს სიტყვები ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის. ეს მან ერთ-ერთი ცნობილი გაზეთის ფურცლებზე განაცხადა... ქალბატონი ბუტჯანაძე იმდენად უმწეოა, იმდენად მერყევია, რომ საკუთარი „გმირული“ სიკვდილის ვარიანტის შერჩევას სთხოვს „ბრიყვ სააკაშვილს“.

და ამის მერე ამ ქალბატონს ჰყოფნის თავხედობა ამნაირი სიყალბის გავრცელებისთვის: „დღეს საქართველოში ჩემი რანგის პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის“...

ღმერთმა აცილოს ჩვენს ქვეყანას ბურჯანაძის მსგავსი პოლიტიკოსები!

**გიორგი კორძაძე**
571 77 61 95

**P.S.** მართლაც, რატომ არ ინტერესდება პროკურატურა ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური მოღვაწეობის ისეთი საინტერესო ეპიზოდებით, როგორიც იყო დაუვიწყარი 2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე და „პესკებზე“ მომხდარი ხალხის „სამაგალითო დასჯა“; თავად ქალბატონმა ნინომ 2009 წლის 9 ნოემბერს ხომ აღიარა, რომ ბრძანდებოდა (თანამდებობიდან გამომდინარე) ამ ეკზეკუციის ერთ-ერთი უმთავრესი სულის ჩამდგმელი; ან, 2003 წლის 23 ნოემბრის ეპიზოდიც გავიხსენოთ, როცა პარლამენტიდან გამოძევებულმა კანონიერმა პრეზიდენტმა – შევარდნაძემ საჯაროდ დაადანაშაულა "ვარდოსნების" სამი ბელადი – ბურჯანაძე, სააკაშვილი და ჟვანია სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში, ანუ ამხილა ეს ყოჩაღი სამეული სახელმწიფო ბოროტმოქმედებაში. სხვათა შორის, მოგვიანებით სააკაშვილი იხსენებდა, რომ რევოლუციის დღეებში ცოტა გვეშინოდა, მაგრამ გავიხედეთ და მოპაკუნებს ნინო. მაგ დროს კი, ნინო ბრძანდებოდა პარლამენტის თავჯდონარე. ჰოდა, მისმა „მოპაკუნებამ“ ძალები შთაბერა დამფრთხალ სააკაშვილს. გავიხსენოთ, კიდევ, რომ ქალბატონმა ბურჯანაძემ ორჯერ უზრუნველჰყო სააკაშვილის გაპრეზიდენტება – 2004 წლის იანვარში და 2008 წლის იანვარში. ბურჯანაძე ხომ 2004-შიც და 2008-შიც იყო პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი... ხოლო, რა უბედურებები თავს დაატეხა სააკაშვილმა და მისმა პირსისხლიანმა ხროვამ საქართველოს და მის მოსახლეობას, ყველას გვახსოვს. "ნაცების" რეჟიმმა სულიერად დაანგრია ქართველი საზოგადოება, გარყვნა არასრულწლოვანები... ამ უპატიებელ ბოროტებაში ქალბატონ ბურჯანაძეს ლომის წვლილი ნამდვილად მიუძღვის. მესმის, ახლა, ზოგიერთების შეხსენება: მან ხომ ბოდიში მოიხადაო! მერე, ბურჯანაძის ტიპის ადამიანის "ბოდიში" სარწმუნოა? ნინო ბურჯანაძის "ბოდიშის მოხდის" დაჯერება შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში – როცა "ყველაზე კომპეტენტური" პოლიტიკოსი წავა პოლიტიკიდან, მთელ თავის ქონებას დაურიგებს უპოვრებს და სახელმწიფოს და ხალხის წინაშე ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად წავა მონასტერში, ოღონდ, არა იღუმენიად, არამედ „რიგით“ დედაოდ. სხვა შემთხვევაში მის სინანულის სიტყვებს ისეთივე ფასი აქვს, როგორც, მაგალითად, მგლის ყმუილს მთვარიან ღამეს...

**გ.კ.**

# მადლობა საქართველოს პროკურატურას

11 წლის განმავლობაში ვიბრძოდი ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებლად.

დღეს აღსრულდა სამართალი.

საქართველოს პროკურატურის მიერ ოფიციალურ საიტზე განთავსებულ დადგენილებაში ვკითხულობთ:

„ახალმა დეპარტამენტმა მოქალაქეების **ალიკო ხარჩილავას** და **ლაშა წურწუმიას** განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილებაც მიიღო, რომლებიც განზრახ მიეცნენ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, რათა საქართველოს რკინიგზას მათგან იძულებით ამოეღო თანხები. კერძოდ, 2004 წელს შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზამ“ გამოაცხადა ტენდერი სხვადასხვა სახის ელექტროსაქონლის და პროდუქციის მიწოდების თაობაზე, სადაც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გაიმარჯვა შ.პ.ს. „ოდაბადემ“ (დირექტორი — ლაშა წურწუმია, წარმომადგენელი — ალიკო ხარჩილავა). კომპანიამ სრულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და საქართველოს რკინიგზას მიაწოდა 26 100 აშშ დოლარის ღირებულების ელექტროსაქონელი.

2005 წლის ნოემბერში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტმა მითვისების ბრალდებით დააკავა შპს „ოდაბადეს“ წარმომადგენლები ლაშა წურწუმია და ალიკო ხარჩილავა, რომლებმაც თითქოსდა საქართველოს რკინიგზა შეიყვანეს შეცდომაში და მიწოდებული საქონლის ღირებულება ნაცვლად ლარისა მიიღეს აშშ დოლარში, რითაც მიაყენეს 34 960 ლარის ზიანი.



ირაკლი ნადარეიშვილი

სინამდვილეში საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებმა დამალეს აშშ დოლარში დაფიქსირებული სატენდერო წინადადება და საგამოძიებო სამსახურს მიაწოდეს ყალბი ინფორმაცია, რაც გახდა საფუძველი ლაშა წურწუმიას და ალიკო ხარჩილავას უკანონო დაპატიმრების.

სამართალდამცავების გადაწყვეტილებით ლაშა წურწუმია და ალიკო ხარჩილავა, მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს პატიმრობიდან, სანამ მათ არ დაფარეს არარსებული ზიანის თანხა და ჯარიმის სახით არ გადაიხადეს თითოეულმა 30 000 ლარი.

ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მსჯავრდებულების მიმართ ბრალად შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც ოთხივე მსჯავრდებულის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულის უფლების დარღვევის თაობაზე, რის საფუძველზეც ჩვენ მივმართავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით.

პროცესს, რომელიც მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, რაც უკავშირდება უკანონოდ გასამართლებული პირების განაჩენების გადასინჯვას და მათი დარღვეული უფლებების აღდგენას შეუქცევადი ხასიათი ექნება“.

შეუძლებელია სიტყვებით გამოვხატო განცდა, რაც დამეუფლა ამ დადგენილების წაკითხვის შემდეგ.

დიდი მადლობა მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსს ბატონ **ირაკლი ნადარეიშვილს**, პროკურორ **გურამ ოქრუაშვილს**, გამომძიებელ **ლევან იზორიას**, რომლებიც გულისხმიერებით მოეკიდნენ ჩემს საქმეს და იმედი დამიბრუნეს, რომ ქვეყანა ჩალით არ არის დახურული.

**ალეკო ხარჩილავა**

# ძლიერი რეგიონები ძლიერი




## ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური პროგრამები

**პროგრამა N1 — ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება**

ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული მოსახლეობის დახმარებას.

პროგრამის ფარგლებში პირველი შვილის შეძენისას ერთჯერადად გაიცემა 150 ლარი, მეორე შვილზე 200 ლარი, 300 ლარს მიიღებს ოჯახი მესამე ბავშვის, 400 ლარს მეოთხე ბავშვის, 500 ლარს კი მეხუთე და შემდგომი ბავშვის შეძენის შემთხვევაში.

დახმარების მისაღებად აუცილებელი მოთხოვნაა ახალდაბადებულების მშობლებიდან მამის რეგისტრაცია ბორჯომში, მარტოხელა დედის შემთხვევაში დედის რეგისტრაცია.

**პროგრამა N2 — ახალდაქორწინებულთა პროგრამა**

გამგეობაში მოქმედი ეს სოციალური პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების წახალისების მიზნით ახალდაქორწინებულთა ერთჯერად დახმარებას 150 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პროგრამის გარდა მუნიციპალიტეტში კიდევ 15 სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომლის მთავარი მიზანი სოციალურად დაუცველთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მორალური მხარდაჭერაა.

**პროგრამა N3 — მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**

ეს პროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარებას ყოველთვიურად. 4-შვილიან ოჯახებს ყოველთვიურად საჩუქრად ერიცხებათ 150 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე — დამატებით 50 ლარი. 150 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან ასევე 18 წლამდე ასაკის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთ-ერთი შვილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჰყავთ.

პროგრამის მიზანია აღნიშნული ბენეფიციარის წახალისება, სოციალური და ფინანსური თანადგომა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

## საზოგადოება „წალენჯიხელის“ წევრები სტუმრად გამგებელთან

ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მონაწილეობდეს მუნიციპალიტეტის განვითარებაში და იცოდეს, თუ რა გეგმები აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას. სწორედ ამ მიზნით იმყოფებოდნენ საზოგადოება „წალენჯიხელის“ წარმომადგენლები გამგებელთან გამართულ შეხვედრაზე, სადაც საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სოფლების გაზიფიცირება, კურორტ „სქურის“ ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაზრდა და ა. შ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

## სოფ. ჯგალსა და მიქავაში საბავშვო ბაღები შენდება

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალისა და მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა მიმდინარეობს.

ორივე საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის 773 500 ლარი იხარჯება და ის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „თელა“ აწარმოებს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ბესიკ ფარცვანიამ** დაათვალიერა მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე სამუშაოები. ეს სკოლამდელი დაწესებულება 70 აღსაზრდელზეა გათვლილი.

ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა ორივე ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე წელს დასრულდება.

## ბიზნესფორუმი გურჯაანელი ფერმერებისთვის

გურჯაანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მცირე დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოლი კახეთის“ ეგიდით, ადგილობრივი ფერმერებისთვის გაიმართა ბიზნესფორუმი, რომელზეც მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებზე, მათი დაძლევის გზებზე და სამომავლო პერსპექტივებზე imსჯელეს.

ბიზნესფორუმს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

## საჩუქარი მრავალშვილიან ოჯახს

დედოფლისწყაროში მცხოვრებ ბეგიაშვილების მრავალშვილიან ოჯახს შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ და კომპანია „ერმიმ“ საჩუქრად ოთახის გამათბობელი გადასცეს.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი: „კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზმა“ მეტად მნიშვნელოვანი პროექტი წამოიწყო დედოფლისწყაროსა და მთლიანად კახეთში. პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონის მცხოვრებლებს შეუძლიათ შეიძინონ ოთახის გამათბობლები 24-თვიანი უპროცენტო განვადებით, ხოლო გამათბობელს კომპანიის სპეციალისტები უფასოდ დაუმონტაჟებენ. კომპანიამ პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივი გადაწყვეტილება მიიღო — დედოფლისწყაროელ სოციალურად დაუცველ ოჯახს უფასოდ გადასცა და დაუმონტაჟა ოთახის გამათბობელი. დიდ მადლობას ვუხდით „სოკარ ჯორჯია გაზს“ ამ ჰუმანიტარული აქციისთვის“.

## დასუფთავების მასშტაბური აქცია ყვარელში

კახეთის რეგიონში უკვე ორ კვირაზე მეტია მიმდინარეობს დასუფთავების აქცია, რომლის ინიციატივა კახეთის მხარის გუბერნატორ **ირაკლი ქადაგიშვილს** ეკუთვნის. დასუფთავების აქციები სისტემატურად იმართება, მაგრამ ჩნდება დაბინძურების ახალი კერები, რაც მოსახლეობის დაბალი ცნობიერების დონეს უკავშირდება. ეს პროექტი კი მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურ მონაწილეობას გარემოსდაცვით აქტივობებში და ამ მხრივ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

ყვარლის აქციაში, 600-მდე საჯარო და სამოქალაქო პირთან ერთად, გუბერნატორის პირველი მოადგილე **ირაკლი შიოშვილი** ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად მონაწილეობდა.

## ამბროლაური — უწერა-შოვისა და მუხლი-მრავალძალის გზების რეაბილიტაცია

სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა **პაატა მარგველიძემ** გაფართოებული


წალენჯიხა

თათბირი ჩაატარა, რომელსაც რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გუბერნატორმა დამსწრე საზოგადოებას ახალი მოადგილე **ემზარ საბანაძე** წარუდგინა, შემდეგ კი მხარეში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილა და რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებისგან სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციები მოისმინა.

2012-2015 წლებში მხარის მასშტაბით 62 231 561 ლარის ღირებულების 1857 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათ შორის სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრებისა და სკვერების მოწყობის, გზებისა და ხიდების მშენებლობის, საგანმანათლებლო და კულტურული შენობების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის და სხვა.

2017 წელს რეგიონში ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, როგორებიცაა: უწერა-შოვის, მუხლი-მრავალძალის გზების რეაბილიტაცია, ქუთაისი-ალპანა-ჭრებალოს გზის (18კმ) მოასფალტება, ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის და ახალი ხიდის მშენებლობა.

დაგეგმილია სოფ. ნიკორწმინდის ცენტრისა და ნიკორწმინდის ტაძრის რესტავრაცია. დაიწყება აგრეთვე ზემო და ქვემო სვანეთისა და საჩხერე-რაჭის დამაკავშირებელი გზების მშენებლობა.

## ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია სენაკში

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში სრულდება ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხიდ-ბოგირი განთავსებულია სენაკი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის მე-6 კმ-ზე.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაკვეთით, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული ინდმეწარმე დავით სიჭინავა აწარმოებს. სამუშაოებზე, რომლის ღირებულება 69 ათასი ლარია, 35 ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული.

რეაბილიტაციის დასრულების შედეგად გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა და შემცირდება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საფრთხე.

კიდევ ერთი ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა აგრეთვე ხორავას ქუჩაზე, რკინიგზის გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე: გამაგრდა და გაფართოვდა არსებული ხიდ-ბოგირი, მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, დაიგო რკინაბეტონის საფარი,

# საქართველოსთვის


სენაკი

მოეწყო ტროტუარები, ბორდიურები და მოაჯირები, ხოლო შშმ პირთათვის — პანდუსები.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად გაუმჯობესდა ტერიტორიის იერსახე, შემცირდა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საშიშროება, გაიზარდა ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება და საავტომობილო გზის გამტარუნარიანობა.

## „პროფესიული გადამზადების“ პროგრამის პრეზენტაცია შუახევში

შუახევის მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით, აჭარის დასაქმების სააგენტოს დირექტორმა **თემურ კახიძემ** „პროფესიული გადამზადების“ პროგრამის შესახებ შეხვედრა გამართა შუახევის მუნიციპალიტეტის რწმუნებულებთან. შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ზვიად დიასამიძე** ესწრებოდა.

2017 წლის „პროფესიული გადამზადების“ ფარგლებში დაგეგმილია პროგრამის მოსარგებლეთა პროფესიული გადამზადება შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში. პროფესიული სასწავლო კურსი მოიცავს სამ კომპონენტს: სწავლებას პროფესიულ უნარებში (თეორიული და პრაქტიკული კურსი), უცხო ენების (რუსული, ინგლისური, თურქული — არჩევით) შესწავლასა და საწარმოო პრაქტიკის მიღებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უფლებით ისარგებლებენ:

ყოფილი პატიმრები და პრობაციონერები, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების წევრები, შშმ პირები (ან მეურვე/ოჯახის წევრი), იძულებით გადაადგილებული პირები, ეკომიგრანტები, ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანები, ყველა სხვა შრომისუნარიანი სამუშაოს მაძიებელი,


შავშვები

რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს.

პროგრამაში ჩართვის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ აჭარის დასაქმების სააგენტოში და მუნიციპალიტეტებში არსებულ მის ფილიალებში.

## ბავშვთა დეჰელმინთიზაციის პროგრამა დმანისში

ააიპ დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აგრძელებს ბავშვთა დეჰელმინთიზაციის პროგრამას, რომლის ფარგლებში ჯანდაცვის ცენტრმა ჰუმანიტარული დახმარების სახით პრეპარატი ვერმოქსი (მებენდაზოლი) მიიღო.

2015 წლის 30 ნოემბერიდან 4 დეკემბრამდე თბილისის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლებში 6-იდან 9 წლამდე ასაკის 200 ბავშვი გამოიკვლია ასკაროდოზზე, ენტერობიოზზე, ტენიარინქოზსა და ტრიქოცეფალოზზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ჰელმინთოზების პრევალენტობის დადგენა, რის შედეგადაც ჰელმინთოზების სამკურნალო პრეპარატები უფასოდ მიეწოდა მოსახლეობას.


დმანისი

## შავშვების დევნილთა დასახლებაში ბაგა-ბაღი გაიხსნა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვების დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაგა-ბაღის გახსნას, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი **დავით ონიაშვილი** და ბაღების გაერთიანების თანამშრომლები ესწრებოდნენ. სტუმრებმა პატარებს სათამაშოები გადასცეს.

საბავშვო ბაღში ამ ეტაპზე 30 აღსაზრდელი ისწავლის, იგეგმება მეორე ჯგუფის გახსნაც. ბაღში ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა.

შენობა, რომელიც წლების წინ აბანოდ აშენდა, მოსახლეობის მოთხოვნით გადაკეთდა. რეაბილიტაცია ერთობლივად განახორციელეს ფონდმა „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში — თბილისი“, ასოციაცია „ელკანამ“ და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

დასახლებიდან ბავშვები შავშვების ბაღში დადიოდნენ, რომელიც საკმაოდ შორსაა. განსაკუთრებით ჭირდა ბავშვების ბაღში წაყვანა ცუდ ამინდში. შავშვების ორი საბავშვო ბაგა-ბაღის გახსნით დევნილ ბავშვებს სკოლამდელი აღზრდა-განათლების მიღება ადგილზევე შეეძლებათ.



# თბილისში არაჩვეულებრივი ძეგლების არაჩვეულებრივი გამოფენა გრძელდება

— თვალები გავს?
— არ გავს!
— ცხვირი გავს?
— არ გავს!
— ტუჩ-ნიკაპი გავს?
— არ გავს!

აბა, რატომ აწერია, ორიოდე კვირის წინ მიხეილ თუმანიშვილის თეატრთან დადგმულ ძეგლს ნატო ვაჩნაძე?

ბოლო ხანებში ქართულ ქანდაკებაში ახალ „მიმდინარეობას“ ჩაეყარა საფუძველი. ამ „მიმდინარეობის“ „ფუძემდებელი“ ერთი მოქანდაკე გახლავთ, რომლის ავტორობით ამას წინათ გენერალი მაზნიაშვილის ძეგლი დაიდგა. წლების წინ უცხოპლანეტელ რეპტილოიდ ანუნაქებზე ინფორმაცია მოვიპოვე ინტერნეტში. ზუსტად ანუნაქის გარეგნობისაა გენერალ მაზნიაშვილის ბიუსტი...

ახლა ნატო ვაჩნაძეო.

კი, ბატონო, ნატო ვაჩნაძის ძეგლი ქალბატონისას ჰგავს, მაგრამ ნატო ვაჩნაძეზე მეტად იმ სკულპტურაში გამოხატული ქალბატონი სოფიკო ჭიაურელის ახალგაზრდობას უფრო ჰგავსო, ამბობდა ერთი გამვლელი.

სოფიკო ჭიაურელს კი არა ნინელი ჭანკვეტაძეს უფრო ვამსგავსებთ, — ირწმუნებოდა მეორე.

საქართველო და ქართველები კულტურული ხალხი ვართ. თუ რაიმე ახალი მიმდინარეობაა სკულპტურულ ხელოვნებაში, რომელიც გულისხმობს კონკრეტული პირების ძეგლებში უჩვეულო გარდასახვას ისე,



რომ ხასიათის ან გარეგნობის არც ერთი შტრიხი არ იყოს მოცემული, გაგვარკვიეთ ამაში, გემოვნებას და წარმოდგენებს მომავალ თაობებს მაინც ნუ უმახინჯებთ...

თბილისში კი არაჩვეულებრივი ძეგლების არაჩვეულებრივი გამოფენა გრძელდება...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ბუბა ხოტივარი:
# მაშინ, მეორე საუკუნეში...



კადრები ფილმიდან „ძველი ქართული საგალობლები“

**(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)**

ცენზურა გამძვინვარდა: Вы что, правда думаете, что вам все можно?! - ასისინდნენ კაბინეტებში. საქართველოსადმი ურყევი სიყვარული უმალ დაიფშვნა. ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. სოსოც მაგრად დადგა...

დღევანდელ ახალგაზრდებს კარგად ვერ წარმოუდგენიათ წნეხის სიმძიმე - ხელოვანის იძულებითი დამოკიდებულება სამთავრობო სტრუქტურებისაგან. ვერ წარმოუდგენიათ და ეს არის სწორედ დიდი მიღწევა, ვიტყოდი, ბედნიერება. მაგრამ ვინც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა კარგად ესმის რისი თქმაც მინდა. რაღაცნაირად რომ ავხსნა, თუ რას ნიშნავდა საბჭოთა ცენზურა, მოვიყვან მიშა კობახიძის მაგალითს: იგრძნეს რა საშიშროება ორიგინალური აზრებისა და სრულიად არადიპლომატიური ხასიათისა, მიშა კობახიძეს, მსოფლიო დონის კინორეჟისორს, უკვე „ქორწილის“, „ქოლგის“ და „მუსიკოსების“ ავტორს, საბჭოთა ცენზურამ... კინოს გადაღების უფლება ჩამოართვა!

ვიმეორებ: მიხეილ კობახიძეს ცენზურამ ფილმების გადაღების უფლება ჩამოართვა და წერილობითი რეკომენდაცია მისცა „ქართული ფილმის“ დირექციას მიებარებინათ მოწაფედ უფროსი თაობის რეჟისორთან! კია მასხარაობა, მაგრამ ამით ხომ მძიმე ტრავმა მიაყენეს არა მხოლოდ მიშა კობახიძეს, არამედ საერთოდ მთელს კინოს. ამის შემდეგ მიშას ფილმები აღარ გადაუღია 35 (!) წლის განმავლობაში...

აი, ვისთან გვქონდა ჩვენ განუწყვეტელი ფარული, თუ ღია ომი. (მამაჩემმა მაშინ შეუთვალა მიშას: მადლობა თქვი, სულაც რომ არ დაგიჭირესო. ცოტა ადრე კი დაგხვრეტდნენ, როგორც ხალხის მტერსაო. შერცხვებოდათ, მე შენ გეტყვი, ბოლშევიკებს და გაწითლდებოდნენო. შენნაირები მოუსპიათო! ეგენი ისედაც წითლები არიან, ოღონდ არა სირცხვილისგანაო. მიშას ამოუხვნეშია: პროფესიის დაკარგვას იქნებ დაჭერაც მერჩიაო)...

სოსო ჩხაიძის შემთხვევაშიც, დარწმუნებული ვარ, თუმცა ხმამაღლა არ უთქვამთ, მაგრამ ერთმანეთში, ალბად, ასე ალაპარაკდნენ: ეს ხალხი ძლივს დავიმონეთ, გუბერნიად ვაქციეთ, თითქოს ჩვენსკენ მოვაბრუნეთ (ანუ, მათის აზრით, გადაგვარების გზაზე დაგვაყენეს) და ახლა უეცრად ძველი ქართული ტექსტებსა და ქრისტიანობას გვიქადაგებენ! ეს ხომ მათი ნაციონალიზმის გამოხატულებაა, ყოველ მათგანს ჩუმად რომ უდევს გულში! ისე გამოდის, რომ ჩვენ ვაფინანსებთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს!.. ფილმისა და სოსოს ბედი სასწორზე დაიდო. იგრძნობოდა, რომ რაღაცა ცუდს აპირებდნენ („ჩხაიძე სერიოზულად აკონტროლეთ!”). მაგრამ სოსო არ შეშინდა, არ წავიდა კომპრომისზე და არაფერი დაუთმო ცენზურას. კოლოსალური ზეწოლისა და დაშინებების მიუხედავად („Ваш фильм закроют, вас отстранят от режиссуры, вы никогда не сможете снимать фильмы, никогда не сможете выехать за границу. Не надо портить жизнь себе и другим”), სოსო ვერ გატეხეს და ერთი კადრიც კი ვერ შეაცვლევინეს.

მახსოვს, სოსომ, ცოტა არ იყოს, ჩაფიქრებულმა მომიყვა ეს ამბავი:

- მე უკან დამხევი არა ვარ, რაც მოხდება - მოხდეს. ამ წუთებში რეზოსაც ველაპარაკე ტელეფონით. ისე იყვირა, კინაღამ ყურმილი გამივარდა: „მაგ ჩათლახებისა არ შეგეშინდეს, არაფერზე დაეთანხმოო! მაგრად დადექ, მანდ მოვდივაროო“. ეს რეზო თვითონაც ჯარისკაცის მამა ყოფილა, კაცო! ისე ნერვიულობდა, სერგო გამახსენდა, თავის ბიჭს რომ ეძახის შეშფოთებული: „ი ტანკი რა უყავ, შვილო-ო!“

ორივეს გაგვეცინა.

- მერე, შენ გოდერძი მახარაშვილივით ხომ არ უპასუხე: „შიგ მატორში მაარტყეს, მამი-ი-ი! - სოსოს ისევ გაეცინა:

- არა, ეს არ მითქვამს, იმიტომ, რომ ჯერჯერობით ფილმი არსებობს, ცოცხალია, მოტორში არც მოვარტყმევინებ, მითუმეტეს, რეზო დამპირდა, ჩამოვალ და რაცხას ვიზამო. მაგის „რაცხა“, ხომ იცი, შეიძლება ფილმის გადარჩენაც იყოს!

საქმეში რეზოს ჩარევა ყოველთვის დიდ იმედებს ბადებდა, მაგრამ ამ დროს იმ მაღალჩინოსანმა, რომელმაც თავის დროზე ოფიციალური წერილი გაგზავნა რუსეთში ქართველების დისკრიმინაციის მოთხოვნით, მოულოდნელად მოიხსნა ქართველი პატრიოტის ნიღაბი, დაასწრო ყველას და „ძველი ქართული საგალობლები“ თვითონვე აკრძალა ბრძანებით - როგორც „საბჭოთა ხალხისათვის უაღრესად მავნე რელიგიის პროპაგანდა და ნაციონალისტური სიამაყის გამღვივებელი ფილმი!“. იცოდა, რასაც აკეთებდა და ვისაც ასიამოვნებდა... ფილმთან ერთად აკრძალა, აგრეთვე, ყველანაირი რელიგიური საგალობლის გადაცემა საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი! მე მომსწრე არ ვყოფილვარ, მაგრამ მთელი ტელევიზია ყვებოდა, როგორი აღელვებული მივიდა (მივარდა!) რეზო იმ ჩინოსანთან, როგორ ჯერ დიდხანს თხოვდა შეეცვალა ბრძანება, მაგრამ, როცა ვერაფერი გააწყო, როგორ იფეთქა და რა დღე დააწია ხალხის თვალწინ მისსავე კაბინეტში. კინაღამ მოუკლავს ადგილზე. ამას დიდი სკანდალი მოყვა, მაგრამ მაშინ ეს საქმე ჩაფარცხეს...

საერთოდ, ამ ფილმის გადაღების დროს, განსაკუთრებით კი მისი დახურვის შემდეგ, სოსოს ჭკუას ასწავლიდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა: რელიგია არის ეს და არ ის. ფრესკა მოზაიკა არ გეგონოს, ასე კალეიდოსკოპივით რომ მიაწყე ერთმანეთზე. საგალობელი ეს ჩვენი ეროვნული საგანძურია (ვითომ სოსომ ეს არ იცოდა). ასე უპრაკუნოდ (რატომ უპრაკუნოდ?) როგორ ეპყრობიო! რელიგიის უვიცი ხომ სწორედ რელიგიურობისა და ეროვნულობის კვარცხლბეკიდან იცავს ერთსაც და მეორესაც და ამ ფასეულობებით სპეკულიანტობს...

* * *

მოკლედ, ფილმი აკრძალეს. სოსო ყველაფერს ჩუმად იტანდა. ერთხელ კი შეთქმულივით გამენდო:

- კარგი ხალხი ჩაერია საქმეში და ფარულად მეხმარებიან. მაგრამ მე მაინც დავიჭირე თადარიგი. ლამარა დევდარიანმა და ლაბორატორიის გოგოებმა დიდი საქმე გამიკეთეს - მათთვის დიდი ხიფათის მიუხედავად - ფილმის ნეგატივიც გადამალეს (ვითომ სადღაც დაიკარგა) და ჩუმად, ფარულად დამიბეჭდეს ფილმის ორი ასლი. ასე რომ, ფილმი უკვე არსებობს ფიზიკურად და აწი მის ბედზე მაინცდამაინც აღარც კი ვზრუნავო...

ლამარა დევდარიანი, კინოფირის ბეჭდვის შესანიშნავი პროფესიონალი, ჩუმი და კეთილშობილი ქართველი ქალი, ფილმის გადარჩენისათვის უდიდეს რისკზე წავიდა - ის საბჭოთა სისტემას დაუპირისპირდა და იდეოლოგიურად აკრძალული, ანუ მავნე ფილმი - ქრისტიანული საგალობლებისა და ფრესკების განმადიდებელი ფილმი — ჯალათებს დაუმალა და განადგურებას გადაარჩინა. ეს იყო უპატიებელი დანაშაული, რომელიც, რომ გამჟღავნებულიყო, მხოლოდ სამსახურის სამუდამო დაკარგვით არ შემოიფარგლებოდა...

აქ უნდა ითქვას, რომ ფილმის დასაცავად თავი გადადეს ქართველმა თანამდებობის პირებმაც - ოთარ თაქთაქიშვილმა, ვახტანგ ბერიძემ, კარლო გარდაფხაძემ - აღარ ვამბობ რეზო ჩხეიძემ - სულის სიღმეში მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, არამყვირალა პატრიოტებმა, ბევრი, მართლაც ეროვნული საქმის, უხმაუროდ გამკეთებლებმა. მათ შეძლეს, ფილმი მოსპობას გადაარჩინეს, დაძაბულობა დიპლომატიურად გაანეიტრალეს და ეკრანზეც გამოასვებინეს...

* * *

სოსო გრძნობდა, რომ მოვიდოდა დრო და ფილმი დაიპყრობდა მაყურებელს. თუმცა საქართველოში მაშინაც იყო ხალხი, ვისთვისაც „ძველი ქართული საგალობლები“ იმთავითვე გახდა სამაგალითო ფილმი. საბედნიეროდ, ისინი კარგად ხედავდნენ კარგს და უყოყმანოდ აკუთვნებდნენ ფილმს ადგილს შედევრებს შორის.

ჟამი რაი წულილთა და ხმელთა
აღმოფშვინვათაი წარმოდგეს,
ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს...
მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო!..

- დავით ალმაშბელთან ერთად ლოცულობს სოსო ჩხაიძე და ჩვენც ყველას გვალოცებს მასთან ერთად...

* * *

„თუში მეცხვარე“. გულწრფელად მითხარით, გინახავთ ასეთი ნაღდი ფილმი? გინახავთ სამსერიანი ფილმი, რომელშიც არაფერი თითქოს არ ხდება, არანაირი მძაფრი სიუჟეტი არ არის, მაგრამ მაყურებელი თვალს ვერ წყვეტს მოქმედებას? გინახავთ ცხოვრებისეული ნაკადის ასეთი დინება? დინება, რომელსაც მიყვები და არაფერი აღარ გახსენდება? და ერთადერთი, რაზედაც დაგწყდება გული, ეს არის წარწერა „დასასრული”? დამისახელეთ გინდ ჩვენი, გინდ უცხოელი დიდი მსახიობი ისეთი ნაღდი კაცური ქცევებით, პლატო რომაა, ოსორაული. გასაოცარია პირდაპირ! ეს ფილმი ისეთივე გამონაკლისია, როგორც „საგალობლები“. იქაც თითქოს არაფერი ხდება, მაყურებელი კი მონუსხულივით შესცქერის ეკრანს. პირველად როცა მანახა სოსომ „თუში მეცხვარის“ ჯერ დაუმონტაჟებელი და გაუხმოვანებელი პირველი მასალა, ჩვენების დროს უცბად გაიცინა, მხარი გამკრა და მითხრა, ყურადღებით იყავი, ბუზი არ ჩაგიფრინდესო. თურმე პირღია ვუყურებდი ეკრანს. ჩემს წინ ხომ ხელოვნების დიდი მისტერია იშლებოდა. ყველა გმირი თითქოს ბიბლიის ფურცლებიდან იყო გადმოსული... გახსოვთ ყრუ ქალის შეკითხვები აივნიდან? ან ცხენზე ამხედრებული მეცხვარეების სოფელში შემოსვლის პლასტიკა? ან ბავშვის თვალებში რძის შესხმა? ან მისი ინტერნატში ჩაბარების გულსაკლავი სცენა? ან „ქართული ხალხური ზღაპრები“? ან ბატკნების მიერ ფარაში დედების ძებნის ეპიზოდი? ან დაღუპული მეგობრის საფლავის ჯვართან შესანდობარის დალევა? ან მწყემსი თანდილა, სიკვდილის მოახლოვებას რომ იგრძნობს („ჭინჭარი სადაც ამოდის, იქვე უნდა ჩაკვდესო“), ცხვარს რომ არ გაყვება და თავის სახლში რომ დალევს სულს? ან ფილმის (იქნებ, მთელი ქართული კინოს?) მთავარი სიტყვები: „ბალღო, აი ეს არს შენ სამშობლო“. როგორ გაყვარებს მართლა ამ დროს შენ სამშობლოს და მთელს მსოფლიოს! როგორი შვება გეუფლება ამ სცენის დროს! რა კაცები დადიან ჩვენს თვალწინ, რა ხასიათებია მოძებნილი, ყველა სათითაოდ არქეტიპული და სათითაოდ სხვადასხვა! მაგრამ (სადღაც ამოვიკითხე): „მათი დაღუპული მეგობრის ვაჟის პატარა ზურიკოსადმი მფარველობაში, საქმიანობაში თავდადებაში, ერთმანეთისადმი ერთგულებაში თუში მეცხვარენი ერთიანნი არიან, როგორც ერთ სალტედ გადაკრული ცისარტყელა, რომლის მრავალფეროვნება ერთად იკითხება“...

**(გაგრძელება იქნება)**



კადრი ფილმიდან „თუში მეცხვარე“



# ვატყობ, ის დრო მომენატრება, ქალი ვიცი მე „კუხნაშიო“, რომ მესმოდა...

ბოლო დროს დაუსრულებელი სჯა-ბაასი გაუდის ფეისბუქს გოგოებსა და ქალებზე: გოგოები სელფებს იღებენო; ნახეთ, გოგოები ლიფტში სელფებს იღებენო; ქალები ტუჩებს იბერავენო, ქალები მკერდს იბერავენო; ქალები და გოგოები საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილები იღებენ და დებენ ფესიბუქზე ფოტოებს და მერე უკვირთ, სექსუალურ კომენტარებს რომ ვუწერთო, თან ვითომ უკვირთ, თანაც სიამოვნებთო; გოგოებს საყვარლები ყავთ და ქალებს ნაშებიო... გათხოვდება და რამ გააათხოვაო; სამჯერ გათხოვდება და სამჯერ რამ გაათხოვაო; ვერ გათხოვდება და - ისეთი მათხოჯია არავინ წაიყვანა, ან იმიტომ არ თხოვდება, თავის იმედი არა აქვსო; საყვარელი ჰყავს ქალს და ბოზიაო; არ ჰყავს საყვარელი და უი, უი, ფრიგიდულია ან ლესბოსელიო; არ გააჩენს შვილს - ბერწიაო; გააჩენს სამ და მეტ შვილს და რას დაყარა ეს ბავშვები, ვის იმედადო; კარგად აცვია - მეჭინჭეაო; ცუდად აცვია - „ბომჟიო“; შეღებილია - შპაკლი



უსვიაო, არ იღებება - ქალს არ ჰგავსო, ხუმრობს - რა ქალივით ხუმრობსო, არ ხუმრობს - როგორ ქალივით ვერ ხუმრობსო, კარგად ატარებს მანქანას - კაცივით ატარებსო; ცუდად ატარებს მანქანას - ქალივით ატარებსო...

ჭრელო პეპელაა, კაცო?

მიხოს ჰკითხეს: - შეყვარებული გყაამს?

- მააშ. პამელა ანდერსონი...

- აუ, ცამხრივი სიყვარული მტანჯველია ძალიან...

- ე, მაგან იმდენს ატკინა უკვე გული, ღირსია, ასე ცალმხრივად დაიტანჯოს ახლა ჩემს სიყვარულშიო...

ჰოდა, თქვენი საუბარიც ძალიან ცალმხრივად ცალმხრივს ხომ არ ჰგავსო, ხომ არაო?

ფროიდს იშველიებდა ერთი: - დედა, რას ამბობდა ქალებზე, ასე და ისეო...

ფროიდი კაცებზეც ამბობდა ასე და ისეო და საერთოდ, რასაც ეგ ამბობდა, ყველაფერი რომ გავიაზროთ და გაავანალიზოთ, ფეისბუქზე საჭორაოდ არც დრო დაგვრჩება და არც ხალისი...

მე იმ ცნობილ ფროიდს არ მოვიშველიებ, მე ბედმა გამიღიმა და სახლში მყავდა ჩემი „ფროიდი“. ბაბუაჩემი მასწავლიდა: - ბაბუ, კაცი მოექცევა ქალს ბოზივით, ბოზი ქალი ეყოლება გვერდით და მოექცევა დედოფალივით - დედოფლის გვერდით გაიღვიძებს ყოველ დილითო!

ჰოდა, გადავხედოთ კაცებსა, ძმაკაცებსა, ვაჟკაცებსა, დაკაცებულებსა, ძალად დაკაცებულებსა, ხმადაკაცებულებსა, გათითოკაცებულებსა...

ნამდვილ ვაჟკაცს უნდა შეეძლოს დალევა, ქალებში სიარული და დუდუკი აღარ არის მოდაში, ბატონო, ამიტომ დაბოლილზე ტროკვაი, დაბოლილზე ტანცი-მანცი, დაბოლილზე „პაპიტოს“ მოსმენაი, „პაპიტოს“ წაღიღინებაი...

ჩამოვიდა გურული ქალაქს, გააქანეს შარდენს, შეაქანეს კლუბში, გაუჩხირეს კოქტეილის „ტრუპკა“ პირში - წრუპავს, 80 გრადუსიან ჭაჭის არაყს დაჩვეული გურული, „სასაცილო“ კოქტეილს, უყურებს: ზოგი დგას და თავს აქნევს, ზოგი დგას და ირწევა.., გვერდზე გაიხედა: ისე ცუდად იგრიხებიან, გული დაეწვა, რჩევა მისცა თავისებურად, გულითადად - ე, ბიძია თუ არ დაწექით და არ გეიხადეთ, არ გამოვა ისე ეგ ამბავი და ტყუილად წვალობთო...

ნამდვილ ვაჟკაცს ცოლი უნდა ჰყავდეს კეთილი და კეთილმო..ნული... არა, ეს კეთილმო..ნული ისე, სიტყვისთვის, კარგად ჟღერს და ნამდვილად გემოვნებიანი მამაკაცი არ გამოტოვებს ამ სიტყვის თქმის შესაძლებლობას, თორემ, ცოლი უნდა ჰყავდეს კეთილი და მოსიყვარულე, ბავშვები უნდა უყვარდეს და მოხუცები, ბავშვების და მოხუცების მოვლა უნდა იცოდეს... საქართველოს სად ჰყავს ქართველი ბავშვების და მოხუცების მოვლისთვის გასამეტებელი ქალიშვილები, ამიტომ ნამდვილი ვაჟკაცები ცოლებს საბერძნეთსა და თურქეთში უშვებენ სიკეთისა და კეთილმო..ნულების გამოსავლენად...

აბა, ის რა ვაჟკაცია ცოლის გამოგზავნილი ფულით ნაყიდ მალბოროს თუ არ მოწევს ბირჟაზე?

აბა, ის რა ვაჟკაცია, საყვარელს თუ საჩუქრებს ვერ მიუტანს? ალფონსი ხომ არ არის არა, საყვარელს გამოართვას ფული...

აუ, ვინმეს ხო არ გგონიათ, ბიჭო, რო მუშაობა ეზარება? „პროსტო“ ვერ იპოვა მისი შესაფერისი სამსახური ამ უკეთურ ქვეყანაში... ხო არ იტაქსავებს, არა? სად აქვს ახლა ვიღაც მთვრალების ბოდიალის და საცობების ნერვი რა, შემოაკვდება ვინმე... ან მუშად როგორ იმუშაოს, ისეთ ოჯახში გაიზარდა, მთელი ქალაქი იცნობს და ახლა გამოვიდეს და ტომრები ათრიოს? არც შეუძლია რა, „პახმელიაზე“ კვდება... მაგ დროს რო მძიმე აწიოს? - დაიბრიდებაა...

ა, ის სახლი, ეგერ მესამეზე, დიდი აივნით, მისი იყო და გაყიდეს 90-იანებში კაპიკებად, მაგას რო მერსედესი ჰყავდა, ბიჭო, მაშინ, ეგეთი მერსედესი ორი დადიოდა ქალაქში, მაქსიმუმ...

ბაბუამისს რომ ძმაკაცები და დაქალები ჰყავდაა... მთელი თბილისის ბომონდი მაგასთან იკრიბებოდა... ასე პირადად ჰყავს ნანახა დოდო აბაშიძე, ან ლეილა აბაშიძე, ზუსტად არ ახსოვს, რა მნიშვნელობა აქვს, ეგენი ერთი კლანია...

აბა, ანზორაა კაცი? კაცის გარდა ყველაფერს დაემსგავსა, სულ იმ უტვინო ციალას ჭკუაზე გადასული... ამას წინათ არყის ფულზე დაადგნენ, ბიჭები და ვერაო, ტო, მერამდენედ გიყიდოთ, იმუშავეთ და გექნებათო... ვის უთხრა ეგ, ტო, დასვა კაბინეტში და არ იმუშავა? ან, მანქანას ველარ ვათხოვებ, უკვე სამჯერ დამიმტვრიეს, დამიმტვრიეს, ბიჭო რა, არ გავკარით მანქანას, ჯართია, ტო, რკინაა... ეგრე ამას რო მერსედესი ჰყავდა, მაშინ თბილისში ორი დადიოდა ეგეთი მერსედესით, მაგრამ კი არავის თხოვნიდა, ტო...



თუ, პირიქით? რავი...

ან, კაცი რო „ნასროკალს“ კრიმინალს დაუძახებს, ის კაცია? ძაღლი ხარ, კრიმინალს რო ეძახი? „ნასროკალს“ პატივი უნდა სცე, ძმაო, უნდა მოუსმინო, სხვანაირად ესმის იმას ამ ცხოვრების და იმიტო... თან ვიღაც ყალთაბანდი კი არაა, ისეთი „ნაკოლკები“ აქვს, უეჭველად მაგარ ტიპებთან ერთად იჯდა რა...

ან, კაცს რო ცოლისთვის დედა არ შეუგინებია ჯერ, ის კაცია? ქალმა თუ იგრძნო, ძმაო, რო მოდუნდი, შენი თუ არ ეშინია ქალს - აი, მანდ გაქვს დარხეული რა... სანამ ცოლად მოიყვან, ხო, მარა მერე მოექცევი თბილად, გაუღიმებ? მორჩა, იცოდე, თავზე გაჯდება, დაიწყებს მერე კითხვებს - სად იყავი, სად მიდიხარ, როდის მოხვალ, ვინ დაგირეკა, ვინ მოგწერა... აუუუ... ტვინს ..ნავს რა... მოდი და არ შეაგინო... შეგაგინებინებს თავს და დაიწყებს მერე წრიპლვას, მომზადებული აქ ცრემლები... კაი, კაცო... აბა, გაიგონოს ერთხელ რომ ვეუბნები, არაა ეგ შენი საქმე-თქო...

ბიჭო, კაცს დედა უნდა უყვარდეს, ყველაზე მეტად უნდა უყვარდეს, ისე უნდა უყვარდეს, რო განსხვავებულით უნდა სვამდეს დედის სადღეგრძელოს, მაგრამ დედას უნდა წავყვე ბაზარში, პროდუქტი მოვატანინო; დედას უნდა გავეგზავნო აფთიაქში, გული აქვს ცუდა;, ან დედას უნდა მივეხმარო კარადის გადადგმაში, მძიმეა - რა ხდება, დედიკოს ბიჭი ხარ, ბიჭო?

ყველაზე მაგარი ღადაობაა, აი, ბირჟაზე რო დგეხართ რა ბიჭები და დედა რომ ეძახის ერთ-ერთს - ამოდი, ვისადილოთო და ეგაც რო დგება ტო და ადის... ეგაა დედიკოს ბიჭობის „პრეძელი“, ძმაო...

აუ, ისე ანზორას ცოლს ციალა ეძახე შენ და მაგარი ქალია ძააან... გამოპაკუნდება მაღალქუსლიანებით, მოვლილი, თავაწეული, გამოწყობილი, გზადაგზა ტოვებს სუნამოს სუნს... ყველა მაგას ეჩალიჩება... აუ, უბნელის ცოლი როა? კაი, რააა... ეგეთ ქალს უნდა ეჩალიჩო, ბიჭო, თუ უნდა ეჩალიჩო რა... თუ არ უნდოდა ანზორას, რო მისი ცოლისკენ გაგვეხედა, რას მოყავდა ეგეთი მაგარი ნაშა ცოლად... მაგარი ნაშა უნდა იყოს ნაშის ადგილას და ცოლად უნდა მოიყვანო შეუღებავი, მორცხვი... ჩააცვა ისე, როგორც გაწყობს და აცხობინო იმდენი, რამდენსაც შეჭამ, აზრდევინო შვილები და ცოტას რომ წამოჩიტავს ბავშვებს, მერე გაუშვა სადმე რა, სხვისი შვილების და მოხუცების მოსავლელად... აბა, აქ „ვაპახაო“, კაპიკები მოიტანოს სახლში და კიდე ტვინი მიჭამოს? არა, რა, კარგად უხდიან, შორსაა და ასე ჯობია რაა...

აი, მერე აქ მუღამი ცხოვრებას... გინდა ბირჟაზე იდექი, გინდა ნაშა მოიყვანე სახლში, კარგს ეწევი, კარგს სვამ და კარგად ერთობი... ჩემი ცოლი? დარწმუნებული ვარ, ძმაო, ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რო არაფერი გლახას გამკეთებელი ეგ არაა, გააკეთებს, ბიჭო და დავკლავ ღორივით... მაგას რა გონია, შორს როა, ვერ გავიგებ? ისე „დაალივერებენ“ იქ ჩემებიი, გონს ვერ მოვა...

ეჰ, ქალი რომ კაცის არჩევას იმდენ დროს უთმობდეს, რამდენ დროსაც კაბის არჩევას უთმობს, უცოლოდ დარჩებოდით, ალბათ...

ეჰ, ის დრო მომენატრება ვატყობ - ქალი ვიცი მე „კუხნაშიო“, რომ მესმოდა...

რომ გიყურებთ, ეგრევე მახსენდება რომ მაიმუნებისგან ვართ წარმოქმნილნი...

რომ გიყურებთ, ნეკნი მეწვება და რომელია რომ ვიცოდე, ამოვიღებდი და დაგიბრუნებდით...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ" N1 2017)

წინასწარმეტყველი ეზეკიელი „ფინიკიის ტვიროსის" გოდებაში როცა მიმართავს ვანის სამეფოს და მის მეზობელ ქვეყანას, დიაოხს, მათ იავანისა და დანის ქვეყანას უწოდებს. ეზეკიელი როცა მიმართავს ფინიკიელთა ცნობილ ტვიროსს, ამბობს (თ 27 მ 13): „იავანი, თუბალი და მეშექი იყვნენ შენი გამსაღებლები, ტყვეებს და სპილენძის ჭურჭელს გიხდიდნენ საქონელში... და იავანი, უზალიდან სანაცვლოდ რკინის ნახელავს, სტახსა და ლერწამს გაძლევდნენ შენს საქონელშიო." ე.ი ეზეკიელის მიხედვითაც, იავანი თუბალისა და მეშექის მახლობლად მდებარეობს — თუნდაც ამიტომ ვერ იქნება იავანის სამეფო იონიელი ბერძნების ქვეყანა. იავანისა და თუბალის მეზობლად სწორედ ურარტუ, იგივე ვანის სამეფო მდებარეობდა. ეზეკიელი დანის სამეფოსაც იავანის გვერდით მოიხსენიებს. როგორც ცნობილია, ვანის სამეფოს ჩრდილოეული მეზობელი სწორედაც დიაოხი, იგივე დანი იყო თავისი ძველი ლაზური მოსახლეობით — სპილენძისა და რკინის ნახელავით ცნობილნი ხომ ისედაც იყვნენ ეს ქვეყნები.

ებრაული დანის ტომს და ნეფთალის ტომს, რომლებიც გალილეაში ცხოვრობდნენ, ბიბლიის გადამწერები რომ ერთმანეთთან აიგივებენ ხშირად კარგად ჩანს მისტიური არქიტექტორის, ხირამის შემთხვევაში. ფინიკიის დიდი მეფის, ხირამის შესახებ ის არის ცნობილი, რომ იგი იყო დავითისა და სოლომონის თანამედროვე და კარგი ურთიერთობა ჰქონდა მათთან. ფინიკიელი ხირამი დაეხმარა სოლომონ მეფეს ე.წ სოლომონის ტაძრის, იგივე იერუსალიმის ტაძრის მშენებლობაში, როგორც ოქროთი, ისე მასალებითა და მშენებლებით, მადლიერების სანაცვლოდ კი სოლომონმა ხირამს გალილეის ოცი ქალაქი აჩუქა. ამავე დროს, ფინიკიის მეფე ხირამმა სოლომონს ამ მისტიკური ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორად და მთავარ არქიტექტორად თავისი სეხნია ხირამ-აბუფი გაუგზავნა, წარმოშობით დანის ტომიდან. ტერიტორიულადაც, ამ ხირამის სამშობლო გალილეა იყო, სადაც ცხოვრობდა ნეფთალის ტომიც. ასე რომ, დავითისა და სოლომონის ეპოქაში დანის ტომის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი უკვე ჩანს გალილეის ტერიტორიაზე სადაც ცხოვრობს მათივე მონათესავე ნეფთალის ტომი. დანი და ნეფთალი გენეტიკურად უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან განსხვავებით სხვა ებრაული ტომებისგან, ამიტომაცაა, რომ ზოგ ძველ ისტორიკოსს, მაგალითად, იოსებ ფლავიუსს ეს ხირამი ნეფთალის ტომის წარმომადგენლად მიაჩნია, ფინიკიის მეფე ხირამი კი დანის ტომის წარმომადგენლად. ნეფთალისა და დანის ტომის ფაქტობრივად ერთი და იგივეობის გამო ხდებოდა ეს აღრევა, თანაც ეს ტომები უკვე გალილეაში ცხოვრობდნენ. (შუა და მე-19 საუკუნის მასონთა საზოგადოებები, სხვათაშორის, არქიტექტორ ხირამს მოიაზრებდნენ თავიანთ დიდ არქიტექტორად და მისტიერ სულიერ ლიდერად...)

სოლომონის იმპერიის დაცემის შემდეგ დანელები ჩამოშორდნენ სამხრეთით მდებარე იუდეას, მათ პროტოიბერიული კულტურისთვის დამახასიათებელი ხარის კულტი კვლავ აღადგინეს და ელოჰიმის მიწიერ გამოხატულებად აცხადებდნენ. ამ მიზეზით გადაიმტერეს სამხრეთელი იაჰვისტი იუდეველები, ამიტომაა, რომ დანის ტომზე ბიბლიაში მრავალი უარყოფითი გამოთქმა არსებობს — დანელებს ყოველთვის უცხო ტომად თვლიდნენ. მათი გაუცხოება იქამდეც მივიდა, რომ შემდგომ, ბიბლიის გადამწერმა იუდეველებმა მთლად გარიყეს დანის ტომი თავიანთი რელიგიური არეალიდან და საბოლოოდ მათ ალტერნატივაც კი მოუძებნეს. რადგან ქალდეური ტომი ასტროლოგიით თორმეტი სისრულის ნიშანია (12 ტომი, 12 თვე, ზოდიაქოს 12 ნიშანი და ა.შ), ამიტომ დანის ტომის სახელი რომ გადაეფარათ, იოსების ტომი ორად გაჰყვეს, მენაშედ და ეფრემად. აი, ასე, კვლავ მიიღეს 12 ტომი დანის ტომის გარეშე..

„დანი" ივრითზე „მსაჯულს" ნიშნავს. ისრაელის მსაჯული ოცი წელი იყო დანის ტომელი სამსუნი ნაზაროველი (ღვთისადმი შეწირული), რომელიც წინასახეა ძველ აღთქმაში იესო ნაზარეთელისა (იგივე ნაზაროველის). სამსუნ ნაზაროველმა სწორედ თავი გაწირა მთელი მაშინდელი ებრაული სამყაროს გამო, მათ გადასარჩენად და მათი ხსნისთვის. იესო ნაზაროველმა (ნაზარეთელმა) კი თავი გაწირა მთელი კაცობრიობის ხსნისთვის. ამიტომაც ითვლება იესო ნაზარეთელის წინასახედ ძველ აღთქმაში სამსუნ ნაზაროველი; ამიტომაც არსებობდა ძველ აღთქმაში ქალაქი ნაზარეთი გალილეაში სადაც ცხოვრობდა იესო ნაზარეთელი...

დანიელ წინასწარმეტყველი აგრეთვე დავითის ფესვია, რომელიც ამავე დროს დანის ტომიდან იყო, მაგრამ ბიბლიის გადამწერები არ ამხელდნენ ამას. „დანიელი" ივრითზე ნიშნავს „მსაჯული ღმერთო", ანუ შინაარსობრივად „ღმერთია ჩემი მსაჯული". იესეს და დავითის ტომობრივი წარმომავლობაც საკმაოდ ბურუსითაა მოცული. დავითი, რწმენით, რა თქმა უნდა, იუდეველი იყო, სწორედ იუდაველობის წყალობით მოახერხა გამეფება ჯერ იუდეაში, შემდეგ — მთელ ისრაელში...

ებრაული ტომების ბაბილონში გადასახლების შემდეგ, თქმულების მიხედვით, დავითის ფესვის წარჩინებული გვარის წარმომადგენლები დიაოხის ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ და აქ გამეფდნენ ტაოში, სპერში და მათ ბაგრატიონები ეწოდათ, აგრეთვე, ამ შტოს წარმომადგენლები გამეფდნენ ყოფილ ურარტუს ტერიტორიაზე.

ტოპონიმ გალილეის ეტიმოლოგია უკავშირდება ხურიტულ ენას, რადგანაც, როგორც ისტორიიდან უტყუარად არის დადასტურებული, გალილეის ტერიტორიაზე ჩვ.წ II ათასწლეულში ხურიტები გამოჩდნენ და გაბატონდნენ ამ ტერიტორიაზე და ეს ტოპონიმიც აქედან მოდის.

კიდევ, იყო პერიოდი ჩვ.წ.აღმდე მე-7 საუკუნიდან, როცა გალილეაში ხალდეები (ქალდე) გამოჩდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ძველი კოლხების, იგივე ხურიტების საცხოვრისში დასავლეთ საქართველოში გვხვდება უძველესი ტოპონიმი „გალი", რომელიც შემონახულია „გალი-ს" რაიონის სახელით; აგრეთვე, მეგრული სიტყვა „მარ-გალი" და ა.შ

ესაიასთან უკვე ვხვდებით წარმართულ გალილეას; მაკაბელთა დროშიც გალილეველები კვლავ წარმართებად მოიხსენიება... დანის ტომის შთამომავალი გალილეველები, თვით იესოს დროსაც კი არაებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ზოგი მეცნიერის აზრით, არამეულ და რაღაც ინდოევროპულის მსგავს ნარევი ტიპის ენაზე, თუმცა არამეული ენა მაშინდელ გალილეაში, ისე, როგორც წინა აზიურ სამყაროში, ასრულებდა ლინგვა-ფრანკას როლს, ანუ საერთაშორისო ენა იყო და არამეული გალილეაშიც ფართოდ გამოიყენებოდა.

ჩემი აზრით, უშუალოდ გალილეური ენა საკმაოდ ახლოს უნდა მდგარიყო ძველ ლაზურ ენასთან და იბერიულ-კავკასიურ დიდ ენათა ჯგუფში შემავალი, ძველი ხურიტულ-ქალდეური ენის ერთ-ერთი განშტოება უნდა ყოფილიყო.

ებრაული ტომები, უკვე დავითისა და სოლომონის ეპოქაშიც გასემიტებულები იყვნენ; მათი ენა უკვე სემიტური იყო, გამონაკლისი, მხოლოდ დანი და ნეფთალის ტომები და შემდგომი გალილეა იყო. ასურელებისა და ბაბილონელების ბატონების შემდეგ იყო დიდი გადასახლება და მოციქულთა დროისთვის და მანამდეც, ბიბლიის მიხედვით, ყველა ტომი გადაშენდა, რომლებსაც ებრაული სწავლულები „გადასახლებაში დაკარგულ ათ



ტომს" უწოდებენ. გადარჩა მხოლოდ იუდას ტომი და ლევის სამღვდელო ტომი.

იუდეის ჩრდილოეთით გალილეა მდებარეობდა, რომელიც ასევე გადაურჩა სრულ ასიმილაციას. მოციქულთა დროისათვის ამ ტერიტორიაზე გალილეაში დანის ტომს უკვე აღარ იხსენიებენ, იქაურ მოსახლეობას მხოლოდ ერთ ეთნიკურ სახელს „გალილეველებს" უწოდებდნენ. მაკაბელთა დროიდან გალილეა შედიოდა იუდეის სამეფოში, რომლებიც უკვე დიდი ხნით ადრე, დავითის მეფობამდეც გასემიტებულები იყვნენ. გასემიტებულები იყვნენ ფილისტიმელებიც და პალესტინის სხვა მოსახლეობაც გარდა გალილეის მხარის მოსახლეობისა. თუ ესპანეთის ბასკებმა კატალონიელებისგან და გალისიელებისგან განსხვავებით დღემდე მეტად შეინარჩუნეს იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ხალხების ენა, რატომ არ შეიძლებოდა რომ გალილეველებს თუნდაც მოციქულთა დრომდე შეენარჩუნებინათ წინარექართულის მსგავსი, ძველი ხურიტულ-ქალდეური ენის მონათესავე ენა.

სახარების მიხედვით, დავითის ფესვი, მარიამი, გალილეველი იყო; ყველა მოციქული გალილეველი იყო, ხოლოდ იუდა იყო იუდას ტომის შთამომავალი და წარმოშობით იუდას ისკაროიტიდან. საკრალურია ისიც, რომ სწორედ მან გასცა იესო, ვინც არ იყო გალილეველი და წარმოშობით გალილეის სამხრეთით მდებარე იუდეის ქვეყნიდან იყო. ჯვარცმის შემდეგ მოციქულებმა კვლავ შეავსეს თორმეტამდე თავიანთი რიცხვი და მეთორმეტედ კვლავ გალილეველი, მატათია აირჩიეს. იესოსადმი იგრძნობა ის გაუცხოება რაც იუდაველ სწავლულებს ახასიათებს სახარებაში: „შენ გალილეველი არა ხარო, კვერითხუროს, იოსების შვილიო," ანუ შენ მესია როგორ იქნებიო, რადგან მესია იუდას ტომიდან და დავითის ფესვი უნდა ყოფილიყო. ალბათ, კიდევ ამიტომაც არ აღიარეს და არ მიიღეს იესო ნაზარეთელი იუდაველებმა; ან როგორ დაუმტკიცებდა, რომ დავითის ფესვიდან და თანაც იუდას ტომიდან იყო, მითუმეტეს, იუდაველი სწავლულები მესიას ელოდნენ როგორც ძლევამოსილ მმართველს ან წინასწარმეტყველს რომელიც რომაელთა ბატონობისგან იხსნიდა ებრაელ ხალხს.

იესომ უთხრა პეტრე მოციქულს, ჯვარცმის შემდეგ მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფო. ჯვარცმის შემდგომ, იმავე დღეს, როცა იუდაველებმა პეტრეში ეჭვი შეიტანეს და დაელაპარაკნენ, იმწამსვე ამოიცნეს რომ გალილეველი იყო, რადგან მკვეთრი გალილეური აქცენტი ჰქონდა, ასეთი აქცენტით ლაპარაკობდნენ ივრითზე გალილეველები. ამ შემთხვევაში პეტრემ იმით გადაირჩინა თავი, რომ უარჰყო იესოს მოწაფეობა. მაშინდელი რელიგიური სექტის წინამძღოლებს ასე სასტიკად არ უსწორდებოდნენ, როგორც გალილეველ იესოს გაუსწორდნენ, ასე უფრო მეამბოხეებსა და აჯანყებს სჯიდნენ, ჯვარზე გაკვრით...

(გაგრძელება იქნება)

# რა დასკვნას დადებს გამოძიება „ბავშვთა სამყაროს“ დაწვასთან დაკავშირებით?

სულ რაღაც ორიოდე საათში დაიწვა „ბავშვთა სამყარო“ და მცირე საბითუმო ბაზარი „არჩევანი“. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აქვე ვიტყვით, რომ „ბავშვთა სამყაროს“ ჩვენთან, თბილისში რატომღაც ბედი არ სწყალობს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში დაიწვა ძველი მაღაზია, რომელიც თავისუფლების მოედანზე მდებარეობდა. სწორედ მის სანაცვლოდ აშენდა დღემდე არსებული „ბავშვთა სამყაროს“ 5-სართულიანი შენობა. მართალია, ბოლო წლებში იქ ბავშვებისთვის ცოტა რამ თუ იყიდებოდა, მაგრამ თავად ნაგებობა ურიგო ნამდვილად არ ყოფილა.

სამწუხაროდ, ახლა უკვე ამ მნიშვნელოვან ნაგებობაზე წარსულ დროში გვიხდება საუბარი.

...დილის 4 საათსა და 11 წუთზე 112-ში შევიდა შეტყობინება „ბავშვთა სამყაროში“ მძვინვარე ხანძარზე. სახანძრო სამმართველოს ხელმძღვანელის ზვიად ქაცაშვილის განცხადებით, უკვე 6-7 წუთში მეხანძრეები ადგილზე იყვნენ და მუშაობდნენ. მისივე გადმოცემით, ცეცხლი ერთბაშად ოთხივე მხარეს მძვინვარებდა. სიმართლე გითხრათ, თავადაც გაკვირვებით საუბრობდა (თუმცა არ იმჩნევდა) ხანძრის ასე სწრაფად გავრცელებაზე. როგორც ბატონმა ზვიად ქაცაშვილმა გვითხრა, ხანძარს 31 ერთეული მანქანა და თითქმის 250 მეხანძრე ებრძოდა... თუმცა...

ნებისმიერ უბედურ შემთხვევას ჭორებიც ახლავს. მოვაჭრეთა ნაწილი, რომლებიც თავი-





ანთ ქონებას ჭირისუფლობდნენ, აცხადებდნენ, რომ თითქოს შენობის დაცვის სამსაცურმა გვიან გამოიძახა სახანძრო დაცვა. როდესაც მოვიდნენ, საკმარისი წყალი არ ჰქონდათო, ამბობდნენ. ერთ-ერთმა მამაკაცმა ისიც გვითხრა, რომ მეხანძრეებმა რატომღაც ხანძარსაწინააღმდეგო სპეციალური ქაფი არ გამოიყენესო. რაც მთავარია, მოვაჭრეთა ნაწილი აცხადებს, რომ ხანძარი ხელოვნურად იყო გაღვივებული. თუმცა, ისინი იმასაც ამბობენ, რომ წინა პერიოდში საეჭვო არაფერი შეუმჩნევიათ. „არც ქირის გაზრდაზე ყოფილა საუბარი და არც ადგილების დატოვება მოუთხოვია ვინმეს, თორემ მიახლოებით მაინც გვეცოდინებოდა, ვის აწყობდა ასეთი უბედურების დატრიალებაო“, — გვითხრა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

მოდით, ახლა მივყვეთ მოვლენათა განვითარებას, რომლის აღდგენასაც ჩვენი ძალებით შევეცადეთ. შემთხვევის ადგილის შემოფარგლულ პერიმეტრთან დაცვის სამსახურის ფორმიანი თანამშრომლები იდგნენ. გავესაუბრეთ მათ და, როგორც აღმოჩნდა, „ბავშვთა სამყაროს“ დაცვის თანამშრომლები ყოფილან. „რას ამბობთ, ბატონო ჩვენო, მორიგეობის დროს ჩვენთვის ძილი გამორიცხულია. ბიჭებმა შეამჩნიეს თუ არა ხანძარი, მაშინვე გამოიძახეს მაშველები. მართალია, ჩვენი ცვლა არ იყო, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ცეცხლი გვერდზე არსებულ საბითუმო ბაზრობა „არჩევანში“ გაჩენილა. ბიჭებიც გაკვირვებულები იყვნენ ცეცხლის სწრაფი გავრცელებით. მათ რომ სძინებოდათ, ელემენტარულად, ვერც თავად გამოვიდოდნენ, ან დაიწვებოდნენ და ან კიდევ გაიგუდებოდნენ კვამლში“ — გვითხრა დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

**ზვიად ქაცაშვილი:** — ერთდროულად 31 ერთეული მანქანა და თითქმის 250 მეხანძრე მუშაობდა. თანამშრომლებმა ყველაფერი იღონეს ხანძრის ლიკვიდაციისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი ძლიერო ცეცხლი იყო გაჩაღებული, ხანძარმა გვაჯობა. ახლაც, ნახეთ, მეხანძრეები დისტანციიდან მუშაობენ, რადგან ახლო მისვლაც კი შეუძლებელია, შიგნით შესვლაზე ჯერჯერობით ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ყველა ღონე გამოვიყენეთ. ეგ კი არა, „ბორჯომის ვაგზალზე“ ვაგონებით შემოვიტანეთ წყალი“.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება დაადგენს, რომელიც შემთხვევის მომენტიდან მიმდინარეობს.

ერთი გარემოება, რომელიც აშკარად დამაფიქრებელია — ამ რამდენიმე წლის წინ დაიწვა ე. წ. „ციგნების ბაზრობა“. ამასთან, ისიც ღამით. ღამით დაიწვა ავეჯის ბაზრობა „საბა“. როგორც ვიცით, ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერაც დაუდგენელია და არც დამნაშავეები არიან დასჯილი. ორიოდე წლის წინ „ციგნების ბაზრობის“ ერთ-ერთმა დაზარალებულმა შემომჩივლა, რომ კომპენსაციებზე სასტიკ უარს გვეუბნებიანო. იმედია, ახლანდელი დაზარალებული ხალხი უყურადღებოდ არ დარჩება.

არავის უდანაშაულობის პრეზუმფციას არ დავარღვევთ, თუ ვიტყვით, რომ ასეთი ძლიერი ხანძარი არ შეიძლება მხოლოდ დაუდევრობით, ისიც დილის 4 საათზე გაჩენილიყო. თუ ეს წინასწარგანზრახვით ჩადენილი დანაშაულია, მას ჩვენი აზრით, თამამად შეიძლება ტერორისტული აქტის კვალიფიკაციაც კი მიეცეს, რომელიც, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი მატერიალური ზარალით დასრულდა.

ტერაქტი მხოლოდ ხალხის ხოცვა როდია, ტერაქტია მატერიალური სიმდიდრის განადგურებაც, როდესაც ათასობით ადამიანი ზარალდება. მატერიალური ზარალი კი ახლა მართლაც აურაცხელია, იმდენი, რომ ვარაუდითაც ვერავინ ამბობს...

**გია ბურდული**
571 71 27 07

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

**— დებს თუ არა ფიცს საჯარო მოსამსახურე, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში?**

— დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 28. მოსამსახურის ფიცი

1. პირი, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში, დამნიშვნელ მოხელეს წარუდგენს შემდეგი შინაარსის ფიცს:

„შეგნებული მაქვს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა,

ვაცხადებ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს და მის ხალხს, დავიცვა

კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე სახელმწიფოს ინტერესებს და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი“.

2. დამნიშვნელი თანამდებობის პირი ხელს აწერს ფიცის ტექსტს, რომელიც შემდგომ ინახება

მოხელის პირად საქმესთან ერთად.


## სახალხო მკურნალი
## (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63



ვარ 44 წლის ენერგიული, პოზიტიური ქალბატონი, ვეძებ სამუშაოს ოჯახში დამხმარედ.
დავალაგებ, მოვამზადებ კერძებს.
ვატარებ წრეებზე სკოლის ასაკის ბავშვს.
მაქვს სამუშაო გამოცდილება.
ტელ.: 599 808 231. ია

# ქვეყანა, სადაც ბედნიერების სამინისტრო არსებობს



ბუტანის სამეფო ჰიმალაის მთებში, ჩინეთსა და ინდოეთს შორის მდებარე ქვეყანაა, ფართობით შვეიცარიის ტოლია, მოსახლება დაახლოებით 700 ათასს აღწევს. დღეისათვის ბუტანი ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი და ჩაკეტილი ქვეყანაა მსოფლიოში. აქ მხოლოდ ბოლო ხანს გაუქმდა უცხოელებისთვის აუცილებელი პირობა — ქვეყანაში შესასვლად მონარქის პირადი მოწვევა იყო საჭირო.

ქვეყანა, რომელიც სამყაროსგან მრავალი ასეული წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყო, ახლაც იმ კანონებით ცხოვრობს, რომელთა



საფუძველიც ბუდისტურმა ფილოსოფიამ შექმნა. აქ არ მოიხმარენ თამბაქოს, არ ხოცავენ ცხოველებს და მხოლოდ ორგანულ საკვებს აწარმოებენ: ქვეყანეში ქიმიური სასუქის შეტანა სასტიკად აკრძალულია. ბუტანის მოსახლეობა საკუთარ მეფეს აღმერთებს, თავად მას კი ისე უყვარს საკუთარი ხალხი, რომ რამდენიმე წლის წინ თავისი ძალაუფლება ორპალატიან პარლამენტს გადაუნაწილა. ამგვარად, ბუტანი მსოფლიოში ყველაზე ახალგადრდა დემოკრატიული სახელმწიფოა.

ყველაზე საოცარი კი ის გახლავთ, რომ კეთილდღეობის საზომად აქ არა მთლიან შიდა პროდუქტის მაჩვენებელს იყენებენ, არამედ ეგრეთ წოდებულ მთლიანი ნაციონალური ბედნიერების ინდექსს. ესე იგი, მიღწევების საზომად ბუტანში არა მარტო ეკონომიკის ზრდას ითვალისწინებენ, არამედ იმას, რამდენად არიან ბუტანელები კმაყოფილნი ცხოვრებით.

2010 წელს ჩატარებულმა ბოლო მასშტაბურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბუტანელთა 41% ბედნიერია, აბსოლუტურად უბედურთა რაოდენობა კი მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს შეადგენს.

მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესება ბუტანის საკონსტიტუციო ვალდებულება და ქვეყნის ნაციონალური პოლიტიკის ნაწილია. საყოველთაო ბედნიერებისკენ სწრაფვა ქვეყნის წინა ხელისუფალმა ჯიგმე სინგვიე ვანგჩუკმა გამოაცხადა, ხოლო მისმა ვაჟმა, ახლანდელმა მეფემ კი ეს კურსი განაგრძო.

„ჩვენს ქვეყანაში ბედნიერება ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი რამ არის. აქ ყველა ამისკენ მიილტვის და ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ პოლიტიკას ატარებს“, — განაცხადა ბუტანის ნაციონალური მართვის დირექტორმა ტუჯი დორჯი ნადიკმა.

## ნელი პროგრესი

ბუტანში უფასოა განათლება და ჯანდაცვა. აქაურებს უყვართ საკუთარი ქვეყანა და მეფე.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბუტანის მოსახლეობის ნახევარი ბედნიერია — ეს კრიტერიუმი არ გახლავთ ეკონომიკური მაჩვენებელი, ეს არის იმის გამოხატულება, რამდენად კარგად გრძნობს ადამიანი თავს. სწორედ ამას ითვალისწინებენ ადგილობრივი ხელისუფალნი. ბედნიერების მაჩვენებელს განსაზღვრავს ბუტანის კვლევების ცენტრი, სადაც რთული ფორმულების დახმარებით ითვლიან, რამდენად ბედნიერები არიან მათი თანამოქალაქეები. ამას კი, ცენტრის სპეციალისტების თქმით, ბევრი ფაქტორი განაპირობებს — ეკოლოგიიდან დაწყებული, ოჯახური ურთიერთობებითა და ჯანმრთელობით დამთავრებული.

ცენტრში თვლიან, რომ ბედნიერების მაჩვენებლის ზრდა შესაძლებელია ქვეყნის ნელი პროგრესის წყალობით, რომელიც არ დაარღვევდა ტრადიციებს, კულტურასა და ბუსისტურ ფილოსოფიას. აუცილებელია ასევე მატერიალური კეთილდღეობის ზრდა.

ბუტანში მოჰყავთ დიდი რაოდენობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი — ბრინჯი, სიმინდი, ბოლქვოვანი კულტურები, ციტრუსი, სუნელები, ამზადებენ მცენარეულს ზეთს — თავიანთთვის და საექსპორტოდ. მოიპოვებენ ნახშირს და მარმარილოს, აწარმოებენ იმდენ ელექტროენერგიას, რომ ნამატს სხვა ქვეყნებშიც ყიდიან.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის მიხედვით 6,5 ათას დოლარს შეადგენს. ამ ეკონომიკური მაჩვენებლით ბუტანი ეგვიპტეს (6,6 ათასი დოლარი) და შრი-ლანკას (6,1 ათასი დოლარი) უახლოვდება.

ბუტანში ცხოვრება ასწლეულების განმავლობაში არ იცვლებოდა. 1974 წლამდე უცხოელების შესვლა ქვეყანაში აკრძალული იყო, ტელევიზია კი მხოლოდ 1999 წელს შევიდა — ქვეყანაში მსოფლიოში ყველაზე გვიან დაიწყო ტელემაუწყებლობა.

ბუტანს თანამედროვე ცივილიზაცია არ შეხებია. აქ ცოტა მანქანაა, საგზაო ნიშნები იშვიათად შეგხვდებათ. რკინიგზა საერთოდ არ არის, ამ მთიან ქვეყანამდე, ძირითადად, საჰარო გზებით აღწევენ.

## დრაკონის მხარე

ბუტანის მოქალაქეები მოკრძალებული ადამიანები არიან და პურიტანელებივით ცხოვრობენ. ისინი არც სიგარეტს ეწევიან, რადგან ამას ბუდიზმი კრძალავს. უცხოელებს შეუძლიათ ქვეყანაში შეზღუდული რაოდენობით სიგარეტის შეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციაში მიუთითებენ ამას და დამატებით გადასახადს გადაიხდიან. ადგილობრივი კანონდამრღვევებისთვის მკაცრი სასჯელი არსებობს. მაგალითად, ოდესღაც ბუდისტ ბერს სამი წლით ციხე მიესაჯა ქვეყანაში სალეჭი თამბაქოს არარეგალურად შეტანის გამო.



სამეფოს მცხოვრებლები რელიგიურები და ცრუმორწმუნეები არიან. ცოდვა თავიდან რომ აიცილონ, ცხოველებს არ ხოცავენ, ხოლო ხორცი ინდოეთიდან შეაქვთ. ქვეყანაში ხორცის მოხმარება შეზღუდულია.

აქაურები თვლიან, რომ ჭექაქუხილი მაღალ მთებში დრაკონის ღრიალია, ამის გამო ბუტანს ჭექაქუხილის დრაკონის სამეფოს უწოდებენ, ქვეყნის მმართველებს კი — დრაკონების მეფეს.

ბუტანის მეფე ჯიგმე კხესარ ნამგიალ ვანგჩუკმა, რომელმაც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მიიღო განთლება, ტახტზე 2006 წელს ავიდა და თავისი ქვეყნის მსოფლიოსთვის გაცნობა დაიწყო. ცნობისმოყვარე მსოფლიო მოაწყდა ქვეყანას. ყოველწლიურად მატულობს ქვეყანაში ჩამომსვლელ ტურისტთა რიცხვი.

თანამედროვე ბუტანი საკონსტიტუციო მონარქიის მიმდევარია. აბსოლუტური მონარქიიდან დემოკრატიისკენ გადასვლა 2008 წელს განხორციელდა, როცა ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩატარდა არჩევნები ორპალატიან პარლამენტში. მმართველობის ახალ სისტემაზე გადასვლა ყველას გაუკვირდა, რადგან ქვეყნის მოსახლეობა ფრიად კმაყოფილი იყო არსებული მონარქიული მმართველობითაც.

ბუტანელების თქმით, მათნაირი მეფე არავის ჰყავს, იგი არ ფიქრობს საკუთარ კომფორტზე და როგორც ჭეშმარიტი ბუდისტი მმართველი, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, მორებისგან აგებულ ქოხში ცხოვრობს ჯუნგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი ვაჟის დაბადება ბუტანის მეფემ ხეების დარგვით აღნიშნა. ამ დღეს 108 ათასი ხე დაირგო. ბუტანში ხე ხანგრძლივი სიცოცხლის, სილამაზის, თანაგრძნობისა და ჯანმრთელობის სიმბოლოა.

მეფის პოპულარობა ბუტანის საზღვრებს გასცდა, თუმცა, იგი ძალზე მოკრძალებული ადამიანია და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მრავალცოლიანობა მიღებულია, მას მხოლოდ ერთი მეუღლე ჰყავს.

## სამყაროსგან მოწყვეტილნი

ბუტანში მოხვედრა ტურისტების მხოლოდ იმ ჯგუფებს შეუძლიათ, რომლებიც ბუტანის ტურიზმის დეპარტამენტში აკრედიტებული ადგილობრივი ტუროპერატორების მიერ შემუშავებული პროგრამით მოგზაურობენ. ვიზის მიღება ასევე შეუძლიათ სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მიწვეულ პირებს, რომლებიც ქვეყანაში მიმღებმა ორგანიზაციის მიერ მომზადებული წინასწარ შემუშავებული პროგრამით გადაადგილდებიან.

ის ადამიანები, ვინც ბუტანში იმოგზაურა, დახარჯულ ფულზე არ ნანობენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ ყოფნის თითოეული დღე, სასტუმროს ხარჯების გარდა, 250 დოლარი ჯდება. ტურისტებზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მონასტერ „ძუ ვეფხვის ბუდის“ ხილვა, რომელიც ზღვის დონიდან 3120 მეტრზე მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, სწორედ აქ იმყოფებოდა ლეგენდარული ინდოელი ბერი პადმასამბხავა, რომელმაც ქვეყანაში ბუდიზმის ტიბეტური ფორმა შემოიტანა, დღეს ბუტანის მთავარი რელიგია რომ არის.

ქვეყანაში 3500-ზე მეტი მონასტერია. სტუმრები ქვეყანაში ჩამოდიან მრავალრიცხოვან რელიგიურ ფესტივალებსა და დღესასწაულებზე დასასწრებად.

ბუტანის მოქალაქეები ბედნიერების საკუთარი ფილოსოფიის ერთგულნი რჩებიან და ყველას უზიარებენ მას.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 20 მარტი, გაზაფხულის ბუნიობის დღე, როცა თითქმის მთელ დედამიწაზე დღე და ღამე თითქმის ტოლია, ბედნიერების საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. დღესასწაულის აღნიშვნა ამ დღეს იმაზე მიანიშნებს, რომ დედამიწის ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლება აქვს, ბედნიერი იყოს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com